

# ქართული



3(16) 2008  
ბაიბი-036060

## გერმანიის ქართული სათვისტოებს ორგანო

ქართული მატყვით რნაა?  
ქართული ქართულთ რწმენაა!  
ღმერთია, შვიდისწერაა,  
ზღვა ტოა, იმთღრნაა!



# ნომჯიშონა:

<b>სახიფაღვფიქო დუქი</b>	<b>3</b>
<b>საქსიფაღვფო დამოქუიფაღვფო დუქი ზუიმი მიუნსენში</b>	<b>4-5</b>
<b>დუქი მანი ფუიში ნიქ-ნიქი</b>	<b>6-7</b>
<b>მფუფი ბიბლიაში დო მფუფი საქსიფაღვფოში</b>	<b>7-12</b>
<b>სამშობო მონსუქი</b>	<b>13-16</b>
<b>ნეხმასუბუდი დასანუნი</b>	<b>17-18</b>
<b>გუიმანო - მფოგობიფი ქუფუნა</b>	<b>19-23</b>
<b>დუქი ნე. იღო მსიფიქო დო იღო სუოქიფი</b>	<b>24-25</b>
<b>ნეხიფი სუქიფი</b>	<b>26-30</b>
<b>იუმი</b>	<b>30</b>

# ს ვ ი რ ვ ა ე ბ ვ ა რ მ ე ა ე ს ი

ძენ ვიწრობ, რომ ანა ჰყოლია მცერი მუსთაველს?!  
აი ვაქცევია სამშობლოდან სულთამსყთაველს?!  
და მარცოთღენ ყიძელთ ცნობის შიშლია  
რომ ამ ქართველმა ყვებოთში სული დალია?!

იქნებ ცნობილმა ვადახვენა ყველა მელქსე?  
თიძეაში, ანჩილ მეფე, ვახცანე მექვეს?  
საბა სულხანი ვამიანყო ჭრის სამოსში,  
ძვალ-ძესლაგი დაყარეა ჭრის ვაბამვილს:

ანა, ქართველთ ჭრდი როლია ასე იოლი,  
თვითმკვლელობაა ჩვენი დიდი საქმის დანყება,  
სამყელს ვაბღებს ამღვრეული ვალაყციონი  
და ქვაფენილზე მუბდელივით დაენარცხება...

აი იქნება რომ სიძაბოთლისთვის დადებულს ენა,  
ვერ მოესწრება, ანა და ვერა  
ვერელე მეფე ხომ აი ვეონივართ  
თანხმობა მოეცეთ, ანა და ვერა.

იმიერავეებს, ცა მთინევეს ყოილა,  
ცოროლა ცას მესეღება იალად  
საქართველოს ვაუბარჯოს  
ნაყენ-ნაყენ ყი ანა  
საქართველოს ვაუბარჯოს მთლიანად!  
საქართველოს - მუსეთისას ყი ანა,  
საქართველოს მთმინეების ვიალას!

# გერმანიის ქართული სათვისტომო



საქართველოს დამოუკიდებლობის და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე გერმანიის ქართულმა სათვისტომომ მიუნხენში ამჯერადაც დიდი ზარზეებით აღნიშნა. მრავალჟამიერით დაწყებულ ზეიმს, ქართული სიმღერა და ცეკვა მოჟვა.

ტრადიციული კონცერტის არატრადიციული დამატება, წელს აფხაზეთის კუთხე იყო. სტენდზე გამოფენილი ომის, გენოციდისა და ლტოლვილთა უღელტეხილის გადასვლის ფოტოები სტუმრებს სინამდვილის აღქმაში დაეხმარა. კონცერტს, პარალელურად, სცენაზე მოწყობილ ეკრანზე, ფონად გასდევდა ქართველი სტუდენტების მიერ მომზადებული სლაიდ-მოუ, რომელიც აფხაზეთის სულიერ, კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას ასახავდა. სლაიდების გერმანული წარწერები კი სტუმრებს სწორ ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს, კერძოდ კი აფხაზეთის შესახებ.

ტრადიციულადვე, გერმანიის ქართული სათვისტომოს

თავმჯდომარემ ბატონმა ლერი დათაშვილმა ფულადი პრიზით და წლის საუკეთესო სტუდენტის ტიტულით დააჯილოვდა 2008 წლის საუკეთესო ქართველი სტუდენტი გერმანიაში – ხათუნა ჯანგულაშვილი-გრუნდმაიერი. მან მაყურებელს ასევე წარუდგინა გერმანიის ქართული სათვისტომოს მხარდაჭერით სამცხე-ჯავახეთში მოწყობილ მოსწავლეთა კონკურსში გამარჯვებული ქ. ახალციხის მე-ნ სკოლის მოსწავლე შორენა გოზალიშვილი.

სათვისტომოს თავმჯდომარემ დაწვრილებით ისაუბრა სათვისტომოს მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაგეგმილ თუ განხორციელებულ პროექტებზე. აქვე გამოცხადდა ქართულ-გერმანული ორგანიზაციების „საკოორდინაციო მრგვალი მაგიდის“ ჩამოყალიბების შესახებ.

მიუნხენის საკვირაო სკოლის ბავშვებს, რომელთა ნახატების გამოფენაც ამშვენებდა დარბაზის კედლებს, არც ამჯერად დაუკლიათ გულმოდგინება

შედლების დაგვარად გამართული ქართული დაგული სამაჩუყებელი ემოციით ეთქვათ ლექსები საქართველოზე. მიუნხენის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის მგალობელ გოგონათა გუნდმა შესანიშნავი პროგრამა შესთავაზა სტუმრებს.

კონცერტის ბოლოს გათამაშდა ლატარეა. ყველაზე იღბლიანს სვანური ქუდი და წყვილი ყანწი ხვდა წილად. მათი შეესებაც გამარჯვებულმა სულ რამდენიმე წაშში მოასწრო, რასაც საქართველოს სადღეგრძელო და გადამდები ემოცია მოჰყვა. ზეიმი ახალგაზრდულმა დისკოთეკამ დაასრულა, სადაც ქართული ცეცხლოვანი ცეკვები სჭარბობდა.

სტუმრებისაგან მხოლოდ დადებითი შეფასება და სიხარულის გამომხატველი შეფასებები ისმოდა:

**მიუნხენის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი მამა თამაზი (ლომიძე):**

— წინა წლების ღონისძიებებთან შედარებით კიდევ უფრო დახვეწილი და კარგად მომზადებული ზეიმი იყო. განსაკუთრებით ავლნიშნავ აფხაზეთის კუთხეს. უცხოეთში

მყოფ ქართველებს, იმის გამო, რომ საქართველოსთან ნაკლები კონტაქტი აქვთ, საქართველოც კი ავიწყდებათ და მითუმეტეს აფხაზეთი. ამიტომ აუცილებელიც კია ასეთი სახის ღონისძიებები. ამას ეკლესია და სამრევლოც გაითვალისწინებს, რომ ეს ტკივილი ხშირად გავისხენოთ და ვილოცოთ აფხაზეთისთვის. დღეს აქ ბევრი უცხოელი სტუმარი იყო, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ ხელი შევეწყოთ რეალობის ამ კუთხით დანახვაში.

**სათვისტომოს საპატრიარქო დავმფლომარემ ბატონმა ვახტანგ ჩხაიძემ სულ რამდენიმე სიტყვაში ჩატია თავისი ემოცია.**

— მშვენიერი იყო, მშვენიერი! ძალიან კარგი!

**საქართველოს და ქართველების მეგობარმა, ბატონმა ვერნერ რუდიგერმა კი სიმბოლურად**



**მხოლოდ ქართულად გამცა პასუხი:**

— ახლა მე უნდა გელაპარაკო კარტულად. დამოუკიდებლობის დგეს გაუმარჯოს. გილოცავტ ეს დგეს. ძალიან მოხარული ვარ ეს საგამოს. გილოცავტ ყველა კარგს, მომავალში საქარტველოში. პირველად მშვიდობა, წარმატებებს ცხოვრებაში და მუშაობაში. მე

ბევრი სიტყვა არ ვიცი.

**ირაკლი კიკონიშვილი**

— ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პირველ რიგში სათვისტომოს, ბატონ ლერი დათაშვილს და ყველა მის გვერდზე მდგომ ადამიანს, ვინც ასე იღვაწა ამ საღამოს მოსაწყობად. ჩემთვის და მგონი ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ დღევანდელი დამოუკიდებლობის დღის ზეიმზე აფხაზეთის თემა იყო წინა პლანზე წამოწეული. ზუსტად ერთობის აი ეს მუხტი გვჭირდება, რომ ყველამ ერთად და მშვიდობიანად დავიბრუნოთ ჩვენი განუყოფელი კუთხე - აფხაზეთი.

**ლატარეაში გამარჯვებული მოშე ბინიაშვილის შეფასება კი ასეთი იყო:**

— დიდი მადლობა ქართულ სათვისტომოს და მის თავმჯდომარეს ბატონ ლერი დათაშვილს. მათ კარგად იციან, რა დროს და რა სჭირდებათ ქართველ ემიგრანტებს უცხოეთში. უღრმესი მადლობა ყველას, ვინც ეს საღამო მოაწყო, ამდენ ქართველს ერთად თავი მოუყარა, გააცნო და დააკავშირა. ერთობა და ჩვენი მეგობრობა გადაარჩენს საქართველოს და ამას გერმანიის ქართული სათვისტომო თავის მხრივ ძალიან უწყობს ხელს.

მომზადა  
**თინათინ ჩითინაშვილმა**



# ღღეს მისი გერში ნიბ-ნიბში

26 მაისის, საქართველოს თავისუფლების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრები მართლაც, რომ „ნაირ-ნაირ ფერებში“ ჩატარდა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში. უცხოეთში იგი ყველაზე მეტად სამშობლოს სიბოროტ მოკლებული ადამიანების ძვირფასი და სანატრელი დღეა. დღე, რომელიც მათ არასოდეს არ დაივიწყეს და იმ აუადმოსაგონარი კომუნისტური რეჟიმის პირობებში, როცა საქართველოს არ შეეძლო 26 მაისის ხსენებაც კი, მსოფლიოში მიმოფანტული ქართველებისათვის იგი იმედისა და ნათელი მომავლის ნაპერწკლად რჩებოდა.

არც წლებადღმა მაისმა დაივიწყა 90-წლიანი იუბილარი - თავისუფლება და მის პატივსაცემლად გრანდიოზული საზეიმო კონცერტი გაიმართა გერმანიის დედაქალაქის პრესტიჟულ საკონცერტო სახლის „ბერლინის“ დიდ დარბაზში, სადაც წარსდგა საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილი, მსოფლიოში აღიარებული ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრი.

აღსანიშნავია, რომ ამ იღვის ორგანიზატორი ორკესტრის მეგობართა წრე აღმოჩნდა. მათ ეს სურვილი, შარშან, მეგობართა კონცერტზე ჩამოსულ საქართველოს ელჩს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბატონ ლევან დუჩიძეს გაუზიარეს.

საქართველოს საელჩომ იღვა ერთბაშად აიტაცა და მას შემდეგ ერთობლივი ძალებით დაიწყო კონცერტისათვის მზადება.

ის, თუ რამდენი ენერგია და ყურადღება გამოიჩინეს ორგანიზატორებმა, ნათელი გახდა მიმდინარე წლის 26 მაისს ბერლინის ჟანდარმენმარკტის მოედანზე მოსულ ხალხთა ზღვა ნაკადში.

მართალია, ისეთ დაფასებულ და აღიარებულ


ორკესტრს, როგორც ქართული კამერული ორკესტრია, დარბაზში ხალხის სიმრავლე არასოდეს არ აკლია, მაგრამ ამჯერად ერთიორად გადაჭედულ დარბაზს, მოწვეულ სტუმრებს, მაღალ საზოგადოებას, უამრავ ქართველს და უამრავ უცხოელს სულ სხვა დახვედრა და გაძლიერება სჭირდებოდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეს ნამდვილად არ გაჭირვებით ჩვენს საამაყო მუსიკოსებს და თავიანთი ახალგაზრდა სამხატვრო ხელმძღვანელის არიელ ცუკერმანის ღირიშორობით შესანიშნავი საღამო აჩუქეს მსმენელს.

კონცერტზე ვ. გლუკის „დონ ჟუანსა“ და ვ. მოცარტის სიმფონიებს ენაცვლებოდა ქართველი კომპოზიტორის ს. ცინცაძის „მინიატურები“. აღსანიშნავია, რომ კონცერტში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა დუდანა მახმანიშვილმა, რომელმაც შეასრულა კომპოზიტორ ნიკა მექანიშვილის ნაწარმოები „ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის“

ინგოლშტადტში ჩვენ შეხვდით ორკესტრის ერთ-ერთ წევრს, ბატონ ვიტალი სიხარულიძეს და ვთხოვეთ საღამოზე განცდილი შთაბეჭდილებების გაზიარება. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. დარბაზი გადაჭედული იყო ხალხით. ამ საღამოზე დასასწრებლად

სპეციალურად თბილისიდან ჩამოვიდა დელეგაცია: სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში, ბატონი იულონ გაგოშიძე მეუღლესთან ერთად. ასოციაციის „კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ პრეზიდენტი, ქალბატონი გიული ალასანია. ფესტივალ ჩვენებურების კორდინატორი, ქალბატონი დარეჯან კუხიანიძე და სხვა მრავალი ცნობილი სახე საქართველოში.

კონცერტზე გათვალისწინებული პროგრამის



ამოწურვის შემდეგ ხალხის მოთხოვნით რამოდენიმეჯერ შესრულდა ბისი. ბოლოს, ღირიჯორი მიბრუნდა საზოგადოებისაკენ და ერთობლივად მათ სულიკოს აჟღერება ანიშნა. სიმღერამ მთელი დარბაზი ფეხზე დააყენა. ეს იყო ენით აუწერელი განცდა.

კონცერტის შემდეგ საქართველოს საელჩოში გაიმართა დიდი მიღება. საზეიმო განწყობილება კვლავ არ ცხრებოდა. სუფრას ქართული სამზარეულო და ქართული ღვინო ამშვენებდა. სასიხარულოა, რომ მუსიკოსებთან საუბარში სახელმწიფო მინისტრმა, ბატონმა გიორგი ბარამიძემ დააფასა ჩვენი და საერთოდ ხელოვანი ხალხის როლი უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში: ვერცერთი სახელმწიფო მოხელე იმდენს ვერ გააკეთებს, რამდენსაც აკეთებენ ხელოვნების მოღვაწეები. ამიტომ თქვენ ხართ საქართველოს ნამდვილი ელჩები უცხოეთში – დასძინა მან.“

და, ბოლოს მათ, ვინც ვერ დაესწრო და ვერ განიცადა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ამ საზეიმო კონცერტის ელვარება, ვფიქრობთ გულგატეხილი მაინც არ დარჩებით, რადგან ჩვენი ყურნალის ფურცლებიდან მაინც შეიტყვეთ, რომ საქართველომ დიდი ზარ-ზეიმით იზეიმა „მოწყურებული თავისუფლება“ და სადღაც „გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა.“

**ნინო ცხომელიძე -  
დეპერშმიდტი**



## მეფე ბიბლიაში და მეფე საზოგადოებაში

**როგორ დგას მეფის ინსტიტუტის საკითხი ბიბლიაში და ზოგადად ქრისტიანულ სარწმუნოებაში?**

ეს თემა აქტუალური გახდა განსაკუთრებით, პატრიარქის ცნობილი ქადაგების შემდეგ, რომელიც მან ოქტომბერში, სამების საკათედრო ტაძარში წარმოთქვა. ვერ ვიტყვი, რომ პატრიარქის ქადაგება მაინდამაინც ამ თემას ეძღვნებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ საკითხს დაეთმო და ეს ქადაგება ფაქტიურად მოწოდებად იქნა აღქმული. მოწოდებათ: — იზრუნეთ მეფის ინსტიტუტის აღდგენაზე. მოგვხსენებთ, რომ ეს მეფის ინსტიტუტის საკითხი საქართველოში დგას, მას შემდეგ, რაც დაიწყო საუბარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე. კერძოდ, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ. მოკლე ხანში, საქართველოში ჩამოყალიბდა, მონარქისტული პარტია, რომელმაც დასვა საკითხი, მეფის ინსტიტუტის განახლებაზე, ამის შემდეგ მოხდა „პუტჩი“ საქართველოში, რამაც უფრო აქტუალური გახდა ეს თემა. იმდენად აქტუალური, რომ ერთ მომენტში შევარდნაძემაც კი დაუჭირა მხარი. მაშინდელი პარტიის ლიდერები (გია ჭანტურია, ჯაბა იოსელიანი) იმედოვნებდნენ, რომ აღადგენდნენ მეფის ინსტიტუტს. ისინი ფიქრობდნენ, რომ მეფის ავტორიტეტი, ხელს შეუწყობდა საქართველოს გაერთიანებას და განმტკიცებას. კითხვას მე ასე დაუსვამდი, რანაირად შეიძლება მეფის ავტორიტეტმა გააერთიანოს საქართველო, ან საიდან ჩანს, რომ მეფეს, საქართველოში ან სადმე

სხვაგან აქვს ავტორიტეტი? როდესაც თბილისში ჩამოვედი სასწავლებლად, 17-18 წლის ვიყავი, საჯარო ბიბლიოთეკაში, კატალოგში წავაწყდი წიგნს, ვინმე გ. ჟორდანიას ავტორობით, სათაურით: „აქვს თუ არა საქართველოს უფლება, მოითხოვოს, დამოუკიდებლობა“ - მცირე ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა. წიგნი გამოცემულია 1917 წელს, მაგრამ ტექსტი თვითონ დაწერილია 1906 წელს და, შესაბამისად, 1906 წლის ამბებია მასში მოთხრობილი. იქ ამოვიკითხე შემდეგი ფრაზა: „როცა ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დათრგუნულ უფლებათა აღდგენას, ჩვენ ისტორიის ჩარხის დაბრუნება კი არ გვინდა, მეფობისა და ბატონყმობის დაბრუნება კი არ გვსურს, როგორც ამას ხანდახან დაუფიქრებლად წარმოთქვამენ ხოლმე, ჩვენი მრწამსის მოწინააღმდეგენი“. გამოგიტყდებით, ცოტა მეწყინა. საერთოდ ამ წიგნით აღფრთოვანებული დავრჩი, რადგან დავრწმუნდი, რომ საქართველოს ჰქონდა და აქვს იურიდიული უფლება ჰყავდეს მეფე, მაგრამ ის, რომ თურმე წიგნის ავტორი, რომელიც ასე მომეწონა, მეფის ინსტიტუტის წინააღმდეგია, მართალი გითხრათ არ მომეწონა. იმიტომ რომ ჩემს ცნობიერებაში მეფეგაიგებებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობასთან, საქართველოს კარგ დღეებთან და ასე შემდეგ. მოკლედ, როგორ დგას მეფის საკითხი ბიბლიაში.

**მეფე ბიბლიასა და მეფე საზოგადოებაში.** მეფე და მისი სინონიმი ხელმწიფე. მეფე და

# მეფე ბიბლიაში და მეფე საზოგადოებაში

ხელმწიფე ფაქტობრივად ერთი და იგივეა. ყველა მეფე არის ხელმწიფე, მაგრამ ყველა ხელმწიფე არ არის მეფე. შეიძლება იყოს ხელმწიფე პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი, ან რომელიმე პარლამენტის წევრი, რომელიც არ არის ლეგიტიმური ხელმწიფე, მაგრამ ფაქტიურად მეფეა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხელმწიფის გარეშე მეფე არ არის, მაგრამ შეიძლება იყოს ხელმწიფე მეფის გარეშე. მეფე ნიშნავს იმას, რომ მეფეში ხელმწიფება მოცემულია თავის თავად ანუ იმანენტურად. მეფე არის დაჯილდოებული და გამორჩეული ღვთისგან და მეფობის იდეა და მეფობის ხარისხი წარმოდგენილი არის მის თესლში, რომელიც განაპირობებს მისი პიროვნების განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას. ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებას მისი ავტორი პორფირი ასე იწყებს: „ალექსანდრე მაკედონელს განსაკუთრებული სუნი ჰქონდა“. ეს იმას ნიშნავს, რომ მის პიროვნებას ჰქონდა ისეთი რამ, რაც სხვებს არ ჰქონდათ. რაც მთავარია, ეს თვისება, გადადის შვილიდან შვილზე. ამიტომ მეფობის ინსტიტუტი არის შთამომავლობითი და გენეტიკურ საფუძველზე აღმოცენებული დაწესებულება. მეფობის მადლი არ არის ქარიზმა. ქარიზმა იმით განსხვავდება მეფობისაგან, რომ ქარიზმა მიეცემა პიროვნებას, რომელსაც შეიძლება ბოლომდე გაჰყვეს იგი და შეიძლება წაერთვას. ქარიზმის ავტორი არის ღმერთი. მეფობის ავტორიც ღმერთია, მაგრამ ქარიზმა არის მოარული და გადადის პიროვნებიდან პიროვნებაზე. ძალიან იშვიათად ხდება, რომ ქარიზმის მატარებელმა პიროვნებამ (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს “მადლს”) ეს მადლი შეინარჩუნოს. მაგრამ მეფის არსება მთლიანად არის განმსჭვალული მადლით და ეს მადლი არის მეფის და მეფობის შემადგენელი ნაწილი.

ბიბლიური რელიგიები იმით განსხვავდებიან სხვა ძველი რელიგიური სისტემებისაგან, რომ ბიბლიაში მეფე, როგორც აუცილებელი და შემადგენელი ნაწილი რჯულისა და ეგზისტენცისა არ ფიგურირებს. შეიძლება იყოს მეფე, შეიძლება არ იყოს, თუ არ იქნება მეფე, არაფერი არ აკლდება არც სამყაროს და არც ღვთიურ გამოცხადებას და ჭეშმარიტებას. ანუ, ბიბლიის მიხედვით მეფე არ არის გამოცხადებული სიბრძნის შემადგენელი ნაწილი. სხვა სარწმუნოებებში, მაგალითად შუმერული, აკადური მითოლოგია, ბერძნული მითოლოგია, კიდევ უფრო განსაკუთრებით ეგვიპტური მითოლოგია რომ ავიღოთ, მეფე ქმნის სამყაროს და საზოგადოებას. სამყაროს შექმნის ბიბლიური და სამყაროს შექმნის არაბიბლიური მოდელიც სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ წარმართული გაგებით სამყარო

ღვთის ნაწილია, მაშინ როდესაც, ქრისტიანული და ბიბლიური თვალსაზრისით, ღმერთმა სამყარო არაფრისაგან შექმნა. მას ადასტურებს პლატონის და არისტოტელეს ფილოსოფია — თეოგონია, რომლის მიხედვითაც ღმერთი არის არა სამყაროს შემქმნელი, არამედ მისი მამომძრავებელი. სამყაროს ქვეშ ამ შემთხვევაში მატერია იგულისხმება. მატერია ამ შემთხვევაში არის ღვთის იმეძანაცია, ანუ გამოვლენა. ძველი მითოლოგიების მიხედვით ადამიანი შექმნილია ღმერთის ნაწილის მიერ, მათ ან ღმერთი ქმნის ან ღმერთის შვილები. მაგრამ, ღმერთის შვილი შვილია და ღმერთობა მის თესლშია. ღმერთი ან ნახევარღმერთი ასევე ქმნის ადამიანს, რომელსაც აძლევს თავის რაღაც ნაწილს. ამიტომ ძველი ტრადიციების და რელიგიების მიხედვით მეფის ინსტიტუტი არის განმსაზღვრელი სამყაროსათვის და მეფე წარმოადგენს ღმერთის ნაწილს. ღმერთი თავის ნაწილს იმეტებს ადამიანისთვისაც, მაგრამ ისევე როგორც მზის სხივი ზოგან უფრო მცხუნვარე და ზოგან ნაკლებად მცხუნვარეა, ასევე წარმართული წარმოდგენის მიხედვით, ყველა ადამიანში ღვთის სხივი მეტნაკლებადაა განაწილებული და ყველაზე მეტად იგი მეფეში არის წარმოდგენილი.

## როდის ჩნდება ბიბლიურ საზოგადოებაში, რჩეული ერის ისტორიაში მეფის ინსტიტუტი?

რჩეული ერი შეიქმნა ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში და გარკვეული პიროვნებების მიერ. უფრო ზუსტად, ამ პიროვნებებმა რჩეული ერი შექმნეს ღვთის მეშვეობით და კარნახით. არა ღვთის ემანაციის შედეგად, ანუ გამოსხივების შედეგად, არამედ გამოცხადების შედეგად. აქ განსხვავება ისაა, რომ გამოსხივების დროს მზეს უნდა თუ არ უნდა ასხივებს სხივებს, გამოცხადება კი მხოლოდ მაშინ არის, როცა ეს ღმერთს უნდა. ღმერთს უნდოდა და შექმნა სამყარო, რომ არ სდომებოდა არ შექმნიდა მას. ამიტომაც არის ღმერთი შემოქმედი და არა ემანატორი.

როცა რჩეულ ერზე ანუ ებრაელებზე ვსაუბრობთ, ყველას წარმოუდგენია ეს ერი სისხლისმიერ ერად. დღეს ეს ასეც არის, თუმცა, დასაბამში ეს ასე არ იყო. აქ სისხლისმიერობაზე და გენეტიკურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ებრაელი ერი არ შექმნილა სისხლისა და გენის საფუძველზე, ამ ერის შექმნის ისტორია კარგად არის მოცემული ბიბლიაში. რისი წინაპირობაც იყო ღვთის გამოცხადება, რომელიც მადლის სახით მოეფინა აბრაამს, ებრაელების მამათმთავარს და ამ გამოცხადების საფუძველზე წინადაცვითა აბრაამის ოჯახის ყველა წევრმა, იქნებოდა აბრაამის შვილი,



მისი საზარდულიდან გამოსული თუ ვერცხლით ნაყიდი ნებისმიერ ქვეყანაში. ასე შეიქმნა ებრაელების ერი, რომელიც არ არის დაფუძნებული არც სისხლზე, არც გენზე, არც კანის ფერზე, დაფუძნებულია ერთადერთ რამეზე, ერთი ღმერთის თაყვანისცემაზე. შეიქმნა ერი, ისრაელიანები, მაგრამ მდგომარეობის დროს და არა სახელმწიფოში. ჩვენ დღევანდელი გადასახედიდან ერი გვესმის, როგორც გენისმიერი, სისხლისმიერი ერთიანობა, რომელიც რაღაც ტერიტორიაზეა დაფუძნებული. მაშასადამე რაც შეიქმნა, ჩვენი გადასახედიდან ის არის არა ერი, არამედ ეკლესია. როგორც უკვე ვთქვით, ეს ერი შეიქმნა როგორც ეკლესია. რით განსხვავდება ეკლესია ჩვეულებრივი ერისაგან. ეკლესია არის თვითონ, მაგრამ ეკლესია არ არის არც სისხლზე დაფუძნებული, არც ტერიტორიაზე დაფუძნებული არც ნაციასზე, ეკლესია დაფუძნებული არის მხოლოდ და მხოლოდ რწმენაზე. ეკლესიას წუთისოფელში არა აქვს სამშობლო განსხვავებით ჩვეულებრივი ერისაგან. ეკლესია წუთისოფელში ისეთივე მდგომარეობა, როგორი მდგომარეობა იყო აბრაამი და მისი შვილები, როდესაც ისინი ქანაანში ცხოვრობდნენ. მაშასადამე შეიქმნა ებრაელების სახელმწიფო, მაგრამ ეს არ არის მეფის სახელმწიფო. ყველა ტომს, ყველა ხალხს, რომელიც ებრაელების გვერდით ცხოვრობს, ჰყავს მეფე, მაგრამ ებრაელებს არ ჰყავთ მეფე და არც გულისხმობს მათი კონსტიტუცია (მოსეს რჯული) მეფეს. მეფის ფუნქციას ასრულებდნენ მსაჯულები. მსაჯულები განსხვავებით მეფეებისაგან არიან პიროვნებები, რომლებზედაც ასევე გადმოდის ღვთის მადლი. ეს მადლი შემდეგ ცნობილი ხდება სხვებისთვისაც მათი წინასწარმეტყველების ან კიდევ მათ მიერ გაკეთებული სწორი არჩევანის შედეგად. ხალხი ხედავს მათ და აცხადებს მათ მსაჯულებად. მსაჯულები არიან მეფეები, მაგრამ არა ჩვეულებრივი გაგებით, რა გაგებითაც წარმართებს ჰყავთ მეფეები, სადაც მეფობა გადადის გენერტიკურად თაობიდან თაობაზე.

## როდის ჩნდება ისრაელიანების შვენებაში მეფის იდეა?

როგორც ვთქვით, ებრაელებს უხდებოდათ იმ ხალხის გვერდზე ცხოვრება, რომლებსაც მეფეები ჰყავდათ. იყო ასეთი მსაჯული, გელეონი, რომელსაც ხალხმა უთხრა: ჩვენს მეზობლებს ჰყავთ მეფე, რატომ ჩვენ არ გვყავს მეფე? მოდი იმეფე შენ: „იბატონე შენ ჩვენზე, შენმა შვილმაც და შენმა შვილისშვილმაც“. აქ უკვე ჩნდება მეფის ჩვენეული გაგების იდეა, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელი ირჩევა, არა არჩევნების შედეგად, არა პიროვნული თვისებების მიხედვით, არამედ მემკვიდრეობით გადადის ტიტული. პასუხი ასეთი იყო: „არა, მე ვერ

ვიმეფებ თქვენზე, უფალმა უნდა იმეფოს თქვენზე“ ეს ნიშნავს იმას რომ, ებრაელებს ჰყავთ მეფე და ეს მეფე არის ღმერთი. ეკლესიასაც ჰყავს თავისი მეფე და ეს მეფე არის ღმერთი. ამიტომ გელეონმა ეს საკითხი უარყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იდეა თანდათან მწიფდება ებრაელთა მოდგმაში და უკვე გელეონის შვილმა, აბიმელექმა თავი მეფედ გამოაცხადა. აბიმელექს ჰყავდა სამოცდაათი ძმა. მსაჯულის ინსტიტუტი თავისთავად ამას არ გულისხმობდა, მაგრამ როგორც ჩანს წარმართების გაგლების შედეგად შემოდის სახელმწიფოს მოწყობის ისეთი მოდელი, რომელიც გულისხმობს, ხელმწიფობის შთამომავლობით გადაცემას. აბიმელექმა შეკრიბა ხალხი და უთხრა, რა გირჩევიანთ სამოცდაათმა კაცმა იმეფოს თქვენზე თუ ერთმა კაცმა? მოდი ამირჩიეთ მე მეფედ. აირჩევენ მას მეფედ, ეს არ არის ცხებული მეფე, ეს არის გამოცხადებული მეფე. ის ხალხმა გამოაცხადა მეფედ. მაგრამ რა მოხდა, მან სამოცდაათივე ძმა ერთ ქვაზე დაკლა. ამის შემდეგ იწყება აჯანყება მის წინააღმდეგ და ეს პირველი მეფე სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს. კერძოდ, კომისის გარშემო მას ჯარი ჰყავს დაყენებული. კომიდან გადმოიხედავს ქალი, გადმოაგდებს ბლაგვ საგანს, რომელიც აბიმელექს მოხვდება თავში და თავს გაუტეხს. მას ცნობიერება შენარჩუნებული აქვს და თავის მსახურს ეტყვის: „გამიყარე დანა გულში, რათა არ შევიდეს ჩემი სახელი ისტორიაში, როგორც ქალის მიერ მოკლულის“-ო. მომდევნო მეფე იყო უკვე ლეგიტიმური მეფე. ამის მერე ებრაელებს ჰყავთ ისევ მსაჯული სამუელი, რომელიც არამართო მსაჯულია, არამედ მღვდელმთავარიც. მისი ეს მმართველობის უფლება უკვე თაობიდან თაობაზე უნდა გადავიდეს. ყურადღება მივაქციოთ, რომ სამუელის პიროვნებაში გაერთიანდა მსაჯულის ანუ ადმინისტრაციული ხელმძღვანელისა და მღვდელმთავრის ანუ ეკლესიის მეთაურის ფუნქცია. თუმცა მეფობაზე არაა ლაპარაკი. როდესაც სამუელი მოხუცდება, თავის უფლება-მოსილება უნდა გადასცეს შვილებს. რადგან მისი შვილები ცუდი პიროვნებები არიან, ხალხი ეუბნება სამუელს: „დაგვიდგინე ახლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ განგვსჯიდეს.“ ეს მოთხოვნა არის უკვე კატეგორიული. სამუელი მიმართავს ღმერთს რჩევისათვის. ღმერთი ეუბნება მას, შეუსრულე მაგათ რასაც გეუბნებიან, რადგან მეტის ღირსი არ არიან ეგები. ღმერთი პირდაპირ ასე ამბობს, მაგათ შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმეყვესო. ღმერთის რეაქცია ამაზე არის სასტიკად უარყოფითი, მაგრამ იმის გამო, რომ ხალხის სურვილი არის ასეთი, ღმერთი ეუბნება სამუელს: „დაუთმე ხალხს, აკურთხე მეფე, მაგრამ უთხარი, გააფრთხილე ისინი, რა შედეგები შეიძლება მოყვეს მეფობის ინსტიტუტის შემოღებას.“ სამუელიც აფრთხილებს ხალხს: „ეს უფლებები

ექნება მეფეს, რომელიც იმეფებს თქვენზე. წაიყვანს თქვენს შვილებს და თავის ეტლებთან და ცხენებთან დააყენებს. ირბენენ მისი ეტლებს წინ. დააყენებს მათ ათასისთავებად და ორმოცდაათათასისთავებად. თავისი მინდვრების მხვენელებად და თავისი სამკლის მომკელებად. თავისი საბრძოლო საჭურველისა და ეტლების მკეთებლებად. აიყვანს თქვენს ასულებს მენელსაცხებლებად, მზარეულებად, ხაბახებად. წაიღებს თქვენს საუკეთესო მინდვრებს, ვენახებსა და ხეთისხილის ბაღებს და თავის მსახურებს დაურიგებს. მეათედს აიღებს თქვენი ნათესებიდან და ვენახებიდან და თავის საჭურისებს და მსახურებს დაურიგებს. წაგართმევთ საუკეთესო ქმრებს, მხედრებს, მსახურ-ბიჭებს, სახედრებსა და თავის საქმეზე ამსახურებს. წაიღებს მეათედს თქვენი ფარებიდან და თქვენ მისი მონები გახდებით და გმინვას დაიწყებთ თქვენ მაშინ თქვენი არჩეული მეფისაგან, მაგრამ პასუხს აღარ გაგცემთ მაშინ უფალი.“ არ დაუჯერა ხალხმა სამუელს. თქვეს არა და არა, მეფე უნდა გვესვას, ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ როგორც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე გაგვსჯის ჩვენ წინ წაგვიძღვება და ჩვენი გულისათვის იბრძოლებს. რა უნდა ხალხს? პასუხისმგებლობის გადაბარება ერთ პიროვნებაზე. სამუელმა გამოარჩია საული მეფედ, რომელიც იყო ღამაზი და წარმოსადგვი. გადმოცემით, ის ერთი თავით მაღლა იდგა ხალხზე. სამუელი სცხებს მას მირონს და იგი იწყებს მეფობას. საული არის უკვე ლეგიტიმური მეფე, მაგრამ მეფობის პატივი აყვარა მას თავისი საქციელის გამო, რადგან მან რელიგიის და ეკლესიის სფეროში შეჭრა მოინდომა. კერძოდ, ებრაელები ემზადებიან საომრად. ებრაული წესის მიხედვით უნდა დაიკლას საკლავი ანუ ყოვლად

აღსავლენი მსხვერპლი უნდა შეიწიროს. თუ მსხვერპლი არ შეიწირება ხალხი არ იომებს. მხვერპლი უნდა შესწიროს მღვდელმთავარმა, ანუ სამუელმა. ეს სისხლიანი მსხვერპლი ძველი აღთქმის არის წინამოსწავება ანუ წინასწარ უწყება. ჩვენ შემთხვევაში ევქარისტული პური და ღვინო, რომელიც არის ჭეშმარიტი ქრისტეს სისხლი და ხორცი. წარმოდგინეთ, რომ ეკლესიაში დაიგვიანოს მღვდელმა და მრევლი შევიდეს საკურთხეველში და შეასრულოს წირვა-ლოცვის წესი და მსხვერპლი შესწიროს. სწორედ ასეთი სახის დანაშაული ჩაიდინა საულმა. საშხადისის დროს დაიგვიანა მღვდელმთავარმა სამუელმა. ხალხი კი არ აპირებდა ომს. საულმა გადაწყვიტა თვითონ შეესრულებინა მსხვერპლთშეწირვა. მსხვერპლის შეწირვის დროს გამოჩნდება მღვდელმთავარი და იტყვის რომ ეს მსხვერპლი არ არის. არც იყო რასაკვირველია, რჯულის კანონის მიხედვით ეს მხოლოდ ხორცის დაწვა იყო. სამუელი ანათემას გამოუცხადებს მეფეს და კურთხევას აყრის. მაშინვე მიმართავს ღმერთს და მისგანაც მიიღებს თანხმობას, რომ მას აყვაროს მეფობა. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, ისრაელის უზურპირებულმა მეფემაც და ლეგიტიმურმა მეფემაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ებრაელებს 4 საუკუნის განმავლობაში ჰყავთ მეფე და სწორედ მეფეების ეპოქით მთავდრება ისრაელიანთა სამოქალაქო ისტორია. 49 წელში დაარსებული ისრაელიანთა სამეფო უკვე სულ სხვა რამაა. ისრაელიანთა სამეფო და მასში მეფობის ინსტიტუტი ამთავრებს არსებობას ჩვენი წელთაღწიციხვის 70 წელს, როდესაც ბენგურის აჯანყება მოხდა, შემდეგ რომაელებმა ეს აჯანყება სისხლში ჩაახშვეს, იერუსალიმის ტაძარი დაანგრიეს,

ისრაელთა სამეფო გააუქმეს და მეფობის ინსტიტუტი, რომელიც ნომინალურად მაინც არსებობდა მთელი 4 საუკუნის განმავლობაში, მოშალეს. ისრაელმა დაამთავრა თავისი არსებობა. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მეფობის ინსტიტუტი არ არის ბიბლიური თვალსაზრისით, მარადიული სიძლიერის სიმბოლო. ეს არის ის ინსტიტუტი, რომელიც ღვთის ნებით შემოვიდა წუთისოფელში. მითუმეტეს აშკარად ვხედავთ, რომ ეს ინსტიტუტი არის წმინდა წყლის წარმართული მოვლენა, რომელიც შემოვიდა ებრაელების ცნობიერებაში მაშინ, როცა ისრაელიანთა შორის რელიგიური ცნობიერება დაეცა და შეილახა.

## რა ვითარებაა ქრისტიანულსამყაროში?

ქრისტიანობა სხვა არაფერია, თუ არა ძველი აღთქმის ჭეშმარიტი შინაარსის გამოცხადება. ნეტარი ავგუსტინეს ცნობილი სიტყვებია, რომ „ძველ აღთქმაში დაფარულია ახალი და ახალ აღთქმაში გაცხადებულია ძველი.“ ვინ არის იესო ქრისტე? იესო ქრისტე სხვა არავინ არ არის (უხერხულია ამის თქმა, როგორ სხვა არავინ, ჭეშმარიტი ღმერთია) ძველ აღთქმასთან მიმართებაში თუ არა ძველი აღთქმის მესია. თვითონ ძველი აღთქმის მესია ვინ არის? ებრაული ცნობიერების მიხედვით მესიამ უნდა აღადგინოს ებრაელთა სამეფო. მესია უნდა იყოს, არა ებრაელთა ნომინალური მეფე, როგორც 4 საუკუნის განმავლობაში იყო, არამედ იგი რეალური მეფე უნდა გახდეს და ქვეყანა იხსნას. იესო ქრისტე მოდის და ამბობს, აჰა მოვიდა თქვენი მეფე. მოციქულები, რომლებიც ნელ-ნელა ხვდებიან მის არსს, ამბობენ აი ნამდვილი მეფე. რა გამოდის? ძველ აღთქმაში მეფე არის ქვეყნის მმართველი, მომამზადებელი და წინასახე იმ ჭეშმარიტი მეფისა, რომელიც მოვა წუთისოფელში.

აი ეს ჭეშმარიტი მეფე არის, იესო ქრისტე. რა ფუნქცია აქვს რჩეულ ერს? მისი ჭეშმარიტი აზრი და იდეა ის არის, რომ რჩეული ერი არის წინასახე ნამდვილი რჩეული ერისა. ვინ არის ეს ნამდვილი რჩეული ერი? ის არის ეკლესია, რომელიც დაფუძნებული არის არა სისხლზე, არა გენეტიკაზე, არა ტერიტორიაზე (ტერიტორიული დაყოფა ეკლესიაში ძალიან პირობითია და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს) არამედ რწმენაზე. ქრისტიანობა ჩამოყალიბდა მეფის გარეშე. ახალ აღთქმაში მეფეს არაავითარი რელიგიური აზრი არა აქვს, მსგავსს ვერაფერს ნახვთ ვერც იესო ქრისტეს ქადაგებაში, ვერც მოციქულების ეპისტოლეებში, ვერც მოციქულების ცხოვრებაში და ვერც გამოცხადებაში. მეფის ინსტიტუტს არათუ რაიმე პოზიტიური, სიმპატიური დანიშნულება აქვს არა აქვს. სწორედ ეს პრეტენზია ჰქონდათ წარმართებს ქრისტიანებთან. რომის იმპერიაში ამ დროს არსებობდა რჯულის და სინდისის თავისუფლება. როცა ებრაელებმა პაულებს უჩივეს, ჩვენი რჯულის საწინააღმდეგო მოძღვრებას ქადაგებო და სარჩელი რომის სასამართლოში შეიტანეს, მოსამართლე ასეთი პასუხით გამოისტუმრა მოსარჩელები: აქ რომ ყოფილიყო რაიმე დანაშაული, ან მკვლელობა ან ქურდობა, ან მკვლელობის მუქარა განვიხილავდი ამ საქმეს, მაგრამ რჯულის საკითხი სახელმწიფოს არ ეხება. ეს ნიშნავს იმას, რომ რომში არსებობდა რწმენის თავისუფლება. მაშ რა პრეტენზია ჰქონდათ ქრისტიანების მიმართ? ერთადერთი პრეტენზია სწორედ იყო ის, რომ ქრისტიანები თავიანთს არ სცემდნენ იმპერატორს. პირველი საუკუნეების წმინდანების ცხოვრებაში დასჯის ერთ-ერთი მოტივი იყო. მეფის თავიანთსცემას აქვს

რელიგიური დატვირთვა, რადგან მეფე გააზრებულია საღმრთო შთამომავლობის პიროვნებად. მაშინ როცა ეს ქრისტიანობაში ყოვლად დაუმკვებელია, რომლის თანახმადაც არცერთი ადამიანი საღმრთო წარმომავლობის არ არის. რამდენადაც ღმერთს სამყარო არ შეუქმნია რაიმესაგან, ღმერთმა სამყარო არაფრისაგან შექმნა, ამიტომ ადამიანში არც სული და მითუმეტეს ხორცი არ არის ღვთის ნაწილი. მაღლი სხვა ამბავია, მაგრამ როგორც ასეთი ნაწილი, რომელიც იქნება ემანაცია, ადამიანში არ არის. თუნდაც ის, რომ ადამიანი არის ღვთის ხატი და მსგავსი არ გულისხმობს ფიზიკურ მსგავსებას, არამედ ცნობიერებას და აზროვნების უნარია მსგავსი. აზროვნების უნარი კი სხვა არაფერი არ არის, თუ არა სული. სხვა ყველაფერი ისეთივე აქვს ადამიანს, როგორც ცხოველს. სიყვარული, სიხარული თუ ლაქუცი, არაფერს ვამბობ ინსტიტუტებზე. მხოლოდ აზროვნება და სულია, რაც ადამიანს გამოარჩევს ცხოველებისაგან. მიუხედავად ყველაფრისა, მეფის ინსტიტუტი შემოდის ქრისტიანების ცნობიერებაში და რელიგიურ თუ არა, სიმპატიურ ადგილს მაინც იკავებს. თუმცა რელიგიური შეფერილობაც მიეცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეკლესია სახელმწიფო დაწესებულება გახდა. უფრო ზუსტად, სახელმწიფო მეთაურები გახდნენ მორწმუნეები. ბუნებრივია ეკლესია ვერ ილოცებდა იმ იმპერატორზე რომელიც მორწმუნე არ იყო.

### როგორ საქართველოში დგას ეს საკითხი?

მერვე-მეცხრე საუკუნეების ქართული ეკლესიის ტრადიციაში უკვე დამკვიდრებულია რწმენა ბაგრატიონების სამეფო შთამომავლობის შესახებ. ანუ იმისა, რომ ბაგრატიონები

ლეგიტიმური, ცხებული მეფის შთამომავლები არიან. კერძოდ ბაგრატიონები არიან იესიან-დავითიან-სოლომონიანები. იესე დავითის მამაა, დავითი კი ცხებული მეფეა, რომელმაც შეინარჩუნა ცხებულება. სოლომონი კი იგივეა, რაც საქართველოსთვის დავით აღმაშენებელი. ბაგრატიონები, როგორც მეცნიერები ამბობენ, მე-ნ საუკუნიდან არსებობენ. პირველი ქართველი მეფე, როგორც ვიცით, ფარნავაზია, რომლის ხაზიც არ გაგრძელდა. ჩვენს წელთ აღრიცხვამდე შესამე საუკუნეში სასანიანები მოვიდნენ და იმეფეს დაახლოებით მე-6-ე საუკუნემდე, შემდეგ უმეფობის ხანაა და შემდეგ მოდიან ბაგრატიონები. საქართველოს ეკლესიაში კი არსებობს რწმენა, რომ ბაგრატიონები დავითის შთამომავლები არიან, მაგრამ ამას რამდენად აქვს რელიგიური დატვირთვა ეს სხვა საკითხია. ამას არ ჰქონდა საქართველოში რელიგიური დატვირთვა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. ქრისტიანს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ის აზრი, რომ რომელიმე მეფეში იმალებოდა ღმერთის სული. ეს არის წარმართული პროცესი.

### როგორ დგას საქართველოში ეს საკითხი, მას შემდეგ, რაც საქართველოში მეფობა გაუქმდა?

1801 წელს საქართველოში მეფობა გაუქმდა. გარდაცვალა ბოლო მეფე და რუსებმა ხელი შეუშალეს ახალი მეფის არჩევას. ეს პროცესი ჩხუმმა და ურთიერთდაპირისპირებაც გააიოლა, რომელიც ქართველებს შორის მეფის არჩევას მოყვა. გაუქმდა საქართველოში მეფობა, რასაც საქართველოს ეკლესიის ინსტიტუციური გაუქმებაც თან დაერთო. ამით, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკლესია არ გაუქმებულა. უქმდება მხოლოდ საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობა და უერთდება

რუსეთის ეკლესიას. ჩვენი ეკლესია გადაიქცა რუსეთის ეკლესიის ეგზარქატად, რაც იმას ნიშნავს რომ ის რუსეთის ეკლესიას არ შერწყმია. ამ შემთხვევაში ეგზარქატი აღარ იქნებოდა. ეგზარქატი ნიშნავს, მხოლოდ საზღვრების გარეთ არსებულ სივრცეს ან ტერიტორიას. მეფის ინტიტუტის გაუქმებას საქართველოში არანაირი რელიგიური გაღიზიანება არ გამოუწვევია.

**როგორ დგას ეს საკითხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის პროცესში. მონაწილეობს თუ არა მეფის ინსტიტუტის აღდგენა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში?** ეს პროცესი დაიწყო 1905 წლიდან და გაგრძელდა 1917 წლამდე. საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა აღიდგინა, მაგრამ მეფობის ინსტიტუტის აღდგენის საკითხი საქართველოში სერიოზულ დონეზე არ დასმულა. საუარაუდოდ, ასეთი აზრი საზოგადოებაში გაისმოდა, მაგრამ ეკლესია მონაწილეობდა თუ არა ამაში ეს ნამდვილად უცნობია.

ამონარიდში ეპიფანე ჩხაიძის სტატიიდან „საეკლესიო რეფორმა“, რომელიც დაიბეჭდა სახალხო გაზეთში 1920 წელს, წერია: „ეკლესიის მართვა გამგეობის ფორმის შეცვლამ დემოკრატიულ ნიადაგზე, რაც მოახდინა საეკლესიო კრებამ 1917 წელს, ვერაფერი გავლენა ვერ იქონია, ზემოდთქმული მოვლენის გამოსასწორებლად (საუბარია ეკლესიის მიმართ ხალხის გულგრილობაზე) ბრალს სდებენ ეკლესიას ბევრ რამეში, მათ შორის იმაში, რომ ის მხარს უჭერს, მონარქიული წყობილებას. შევეცდები მოვიყვანო აქ ეკლესიისაგან სახელმწიფოს გათიშვის საერო საფუძველი. ქრისტე თავის საქმეს აცალკევებს სახელმწიფოსაგან. ის თავის საქმეს არ ურევს ამქვეყნიურ საქმესთან. ამიტომ ეკლესიამ თავისი

თავი უნდა გამოეყო სახელმწიფოსაგან. ის უნდა იყოს თავისი თავის პატრონი. სახელმწიფოსთან კავშირი მას ავტორიტეტს უტუტს, როგორი წყობის სახელმწიფოც არ უნდა იყოს, ის მაინც დააკისრებს მოვალეობას ეკლესიას, რაც არ შეეფერება მას. ასეთი შეხედულება ამ საკითხზე გამოთქვა, საქართველოს სამღვდლოების წარმომადგენლობის კრებამ, რომელიც შედგა 1905 წლის დეკემბერში. ასეთი შეხედულება ნაგულისმევა საქართველოს ეკლესიის 1917 წლის კრების დადგენილებებშიც. თუმცა ქრისტე პირდაპირ არ შეხება ბევრ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხს და მათ შორის საკითხს მეფის უფლების შესახებ, მაგრამ მისი ქადაგება, ქვეყნად ღვთის სასუფეველის დაარსების შესახებ და სხვა ადგილები სახარებისა, გულისხმობს მეფის უფლების უარყოფას. აშკარად ეს აზრი გამოთქვა სამოელმა ებრაელების მიმართ, რომლებმაც მოსთხოვეს მას მეფობის შემოღების ნებართვა.” უნდა ვიფიქროთ რომ იმდროინდელი სამღვდლოების იმ ნაწილის დამოკიდებულება, რომელიც წამყვანი როლი ჰქონდა და რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1917 წლის ცნობილ საეკლესიო კრება, შორს იდგა მეფის იდეისაგან. ანუ ჩემი მაშინდელი გულისტკივილი როდესაც 17 წლის ვიყავი და დასაწყისში ნახსენები წიგნი წავიკითხე, რატომ არ უნდა აღდგეს საქართველოში მონარქიული წყობილება აღარ არის აქტუალური.

*მოამზადა*  
**თინათინ ჩითინაშვილმა**  
**ნუგზარ პაპუაშვილის ლექციის მიხედვით**

## ინფორმაცია

**Au-Pair -ის პროგრამით ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ უპიტიხეობი მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, შეუძლიათ დაუკავშირდნენ სათვისტომოსთან არსებულ საინფორმაციო ჯგუფს შემდეგ ნომრებზე:**

0176 23346015 (პარამენი),  
0176 22640247 (თინათინი),  
0179 4998874 (ნინო)  
**ან ელექტრონული ფოსტით:**

[info@satvistomo.de](mailto:info@satvistomo.de)

# სამშობლოს მონაცხება

## მელა კახიძე

შორიდან მეკიჟინებიან სამქუხაროდ და მეამბოხედ დაბადებული ჩანჩქერები, წვერთეთრა კავკასიონის წამოფაფრებული მთაგრეხილები, ცვარ-მანანად დაბადებული მდელოები. გაზაფხულის მაცნე გუგულები, წყალწმინდა წყაროები, ჩემად გულვეტული პურის ყანის ყაყაჩოები, უკვდავ ნაგები უფლის სახლ-ტაძრები და ცხრათვალა მზის მაღლი და ძალი.

შორიდან ვემლოცველები პირველ ყვავილთა მოსვლის სიხარულს. ხუჭუჭა მათიტელებიან ეზოებს. შემოგარენში სხივნასხურები ციცინათელების ცქრიალს, თოვლქვეშ აღმოჩენილ ადრეულ იებს და მეზაფხულე მოაგარაკე მერცხლებს.

სულ სხვა მირონი სცხიათ, ხასხასა ბალახებში ჩამოყრილ ტყუპ-ტყუპად გამოკუჭუნულ თხილებს, ხის ტოტებში შემალულ მუშტებივით ჩაკუმშულ კომშებს, თონეში გამომცხვარ დაბრაწულ ნაზუქებს და შოთი პურებს, აყალო მიწით წაგლეხილ სიპის სახურავმონდილი ქვევრიდან ამომჩქეფარე მაჭრის დამათრობელ სურნელს.

თავისკენ მეძახის ჩემი უმორჩილო, დღენიდაგ ხმლისქვემდგარი დოვლათ-სიკეთე მოუშლელი, ფესვებუკვდავი პატარა, მაგრამ დიდი საქართველო!

დიახ, დიდა და დიდა ჩემი საქართველო, რადგან არ შეიძლება პატარა დაარქვა ქვეყანას, სადაც დაიბადა შოთა რუსთაველი და უკვდავი “ვეფხისტყაოსან” დაიწერა.

ჩემს შემეცნებაში დედამიწაზე არ მოიძებნება დიდი და პატარა სახელმწიფო. არსებობს მხოლოდ ტერიტორიულად მცირე და დიდმიწიანი მხარე.

არ შეიძლება პაწაწინად ჩათვალო ცის ქვეშეთი, ვისი სახელმწიფოებრიობა სამიათას წელიწადს ითვლის და გაქრისტიანებიდან ათას შვიდასი წელია გასული. სადაც ქართულმა ანბანმა 417 წელს, თვითმყობადმა და არაფერთან მიმსგავსებულმა დაიწყო მზის კალენდრული ეპოქა და ფრთები გაშალა ქართულმა მწიგნობრობამ.

იოანე ზოსიმეს ქართული ენის ხიბლი სისხლხორცეულად ქონდა შეცნობილი.

მისთვის ქართული ენა გახლდათ საღმრთო მისიის ენა, რომელიც განსაკუთრებული გამომხატველობითი სიძლიერით და არაჩვეულებრივი ესთეთიზმით გამოირჩეოდა.

ფლობდა მომხიბვლელ საიდუმლოებას, შათაგონების გამოვლენის უნარით იყო დაჯილდოებული და სადაც გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმოდა.

იოანე ზოსიმე თავის „ქებაი და დიდებაი ქართული ენისა“ აცხადებს: “ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს”.

ამ ენის მისტიკურობის და ღვთაებრიობის დასტურად, მის ყველაზე დიდ საიდუმლოს ხდის ფარდას “რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენით”, “ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა”.

ყურადსადებია ის ფაქტიც, რომ ქართველობას საუკუნეების მიღმა უდგას ფესვები. სულკურთხეული ილია ჭავჭავაძე წერდა: “ჩვენი უძველესი წინაპრები რომ ხეთები არიან და ქართველობა, რომ ურარტუს მემკვიდრენი ვართ, ვინც კულტურით ასურეთზე და ბაბილონზე მაღლა იდგა, ამაზე სულ პირველად უცხოელებმა ამოიღეს ხმა”.

მათ დაამკვიდრეს ჩვენში მოსავლიანობის ღვთაება “არალეს” კულტი, რაც “ფერი არალეს” და “თარი არალეს” სახით ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა სიმღერებმა დღემდე შემოინახეს. აგრეთვე კოლხეთად წოდებულ საქართველოში, ძველი წელთაღრიცხვით მეორე ათასეულ წლებში, აიეტის მეფობის ხანაში ქართველები კიდითი-კიდე განთქმულები გახლდნენ რკინის და ბრინჯაოს დამუშავებით.

აიეტს ეკუთვნოდა ხალიბების რკინის საბადოები, სადაც ხალიბური ხმალი და ფარ-ჩაფხუტი იჭედებოდა. მისივე ხელმწიფობის დროს ყვაოდა მედიცინაც.

გერმანელი ექიმი კურტ შპენგელის ხუთტომეულში “მედიცინის ფრაგმენტული ისტორიისთვის” დასახელებულია ჰეკარტესა და მედეას ბაღი. შპენგელი წერს, რომ მედეას ეს ჯადოსნური ბაღი მემკვიდრეობით გადაეცა დედამისისი ჰეკარტესაგან და ასახელებს 56 სახელობის სამკურნალო ხესა და მცენარეს. უთხოვარის ხე, დაფნა, სურო, ლობიო, პიტნა, შაგბალახა, ღიჭი, კამა, იორ და სალაში, ცოცხმაგარა, ლავანტი, სალვია, ასფოთოლა და სხვა.

საქართველოში რენესანსი XII საუკუნეში ყვაოდა, მაშინ როცა ევროპაში მხოლოდ XIV საუკუნეში, 200 წლით გვიან იკიდებს ფეხს. XII საუკუნეში შეიქმნა შოთა რუსთაველის შუქმესხმული პოემა “ვეფხისტყაოსან”, რომლის ბადალი ქმნილება ევროპას არ გააჩნდა. საგულიხმოა ის ფაქტიც,

რომ რუსთაველს ამ ნაწარმოებში აღწერილი აქვს “შხის სისტემა”, მაშინ როცა მეჩვიდმეტე საუკუნეში კოცონზე წვავენ ჯორდანო ბრუნოს იმის თქმისთვის, რომ დედამიწა ბრუნავსო.

ამ დროს მოღვაწეობდნენ ოქროს მქანდაკელები, ბექა და ბემქენ ოპიზარები. შხადღებოდა მინისა და ბროლის ჭურჭელი, შანდლები, ბარძიმები, ტაბაკები, ფეშხუმები, მოჭიქული ჭიქები და სხვა.

ასევე ტახტზე XII საუკუნეში მეფეთ-მეფე თამარი იჯდა. მისი სიკვდილის შემდგომ რუსუდანი მოეკვინა ხელმწიფედ საქართველოს, მაშინ როცა ევროპაში ქალის გადედოფლება კანონით იკრძალებოდა.

ჩვენში საუკუნეების გასაღვარზე ითარგმნებოდა წმინდა მამების საეკლესიო წიგნები. გადმოქართულდა გრიგოლ ნოსელის შრომები და “მოსეს ცხოვრება”. იოანე დამასკელმა და გიორგი მთაწმინდელმა მთელი თავიანთი სიცოცხლე ამ საპატიო საქმეს შესწირეს.

საქართველოზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც მას აკავშირებდა ინდოეთთან, არაბეთთან და სხვა დანარჩენ აღმოსავლეთ სამყაროსთან.

ქართველებს სხვისი მიწა არ დაუღაშქრიათ და სხვის მამულ-დედულზე თვალი არ სჭერიათ. პირიქით, აქეთ გვესმოდნენ თავს და გადაჯიშებას უპირებდნენ ერს, ვისი მეომრებიც მუხლზე მოდებით ხმაღს შუაზე ამტკრევდნენ.

საქართველო მუსულმანური გარემოცვის ქვეშ იყო მოქცეული და მრბველები და ამკლებლები არ აკლდა.

დაწყებული 1.100 კილომეტრზე გადაჭიმული კავკასიონის ქედზე სხვადასხვა ტომით დასახლებული ურჯულოებით, დამთავრებული ირანით და თურქეთით, შხირად იყვნენ ლიბო მოერღვიათ, წაებღწათ და ნაოხრალად ექციათ ჩვენი მთა-წყლები.

სად არ დადგმულა უწმინდურთა

ფეხი, ვინ არ მოიბალახა ვახის, ხორბლის და ვარდების საუფლო, მაგრამ მაინც მარცხდა უკვებებელი და მირონცხებული დარჩა და ისტორიამ შემოინახა გაუკვდავებული სახელები, როგორებიც იყვნენ: ძმები ახალციხელები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ქსნის ერისთავები, ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, თევდორე ღვდელი, ცხრა ძმა ხერხეულიძენი და დიდწამებული ქეთევან დედოფალი, ვინც 1624 წელს 13 სექტემბერს შაკ-აბაზის ბრძანებით შირაზში აწამეს მაჰმადის რჯულის მიუღებლობის გამო. დაპყრობის და აწიოკების მოურჩენელი ჭირით შეპყრობილმა შაკმა არ დააკლო კახეთის ამაყ დედოფალს გავარავრებული შანფურები, რკინის მარწუხები, ბარები, ლურსმებგაჩრილი ჩექმები, რკინის მატარა, თუ თავზე ჩამოსაცმელი დახურებული ქვაბი და სხვა.

მემეტთანე გადმოგვცემს: “მარცხენა ძუძუ ააგლიჯეს, ძუძუთა შუა ნაძუძურზე შამფურები აძგერეს, ლურსმების საბანში გაახვიეს და შუბლი გაუხეთქეს”. დედოფალი არ გატყდა, ზვიადად ავიდა წამების კვარცხლბეკზე და ნიშანმიგებული დატოვა შაკი და შთამომავლობას დაუტოვა განუმეორებელი სიქველის და გმირობის მაგალითი.

იმხანად ჟამკარარეული და ლაშქარდაშლილი საქართველო მისმა მოწამეობრივმა სიკვდილმა საუკუნეების მომავლობაში შეამტკიცა და შეადუღაბა.

საქართველო არ იყო ერმრავალი. მხედრების სიჭარბით მტერს ვერ გააოცებდა, მაგრამ იყო დრო, როცა დავით აღმაშენებელმა თრიალეთთან, ასიათასიანი თურქთა ჯარი ათასხუთასი მეომრით დაამარცხა.

დამდგარა ხანიც, როცა მამის და ძმისეული იარაღით შეფარხმალებული ქალები ებმებოდნენ ბრძოლებში.

გავისხენოთ ცხრა ძმა ხერხეულიძეთა დედა, ვისაც შვილების გვერდით არგუნეს საფლავი. მაია წყნეთელი. თამარ ვამლოვანელი და თინა წაკისელი.

ისინი დიდებით შემოსილები დაიხოცნენ, სახელუმხელ შაფეფარა, წაბლა და თაფლა ცხენებზე ამხედრებულები, რათა მომხდურს არ ეკალონა ჩვენს ეზო-ყურეში და არ აღევანათ პირისაგან მიწისა სიტურფით გადამეტებული სამშობლო ჩემი.

ღრუბლით თავწახურული სატირლად მხადმყოფი ცა, სისხლშერეული ხევეები, დახანძრებული ბოგა-ბოგირები, ცეცხლს მიცემული სახლები, ვახის აკაფული ლერწები, სეტყვად გადანაქცევი ცვარ-ნამი, მიტოვებული, თავზე ჩამოქცეული ღორღთა და ქვათა ნალწი და ურაოდენო ობოლ-ქვრივები.

ასეთი იყო საქართველოს წარსული, მაგრამ ქართველებს გული არ გაუმხდალებიათ, ხმალი ქარქაშში არ ჩაუყანგებიათ და გუნდრუკი არ უკმევიათ შემოსეულებისათვის. ამის დასტურად საკმარისია, დიდგორის, თრიალეთის, შამქორის, ხერსოლის, ასპინძის, ნახალეთის, მარაბდის, მარტყოფის ლაშქრობები გავისხენოთ და რომელი ერთი ჩამოეთვალოთ.

ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე გახლდათ საბაბი იმისი, რომ დაპატრონების სურვილი გადვიძებოდათ ახლო მეზობელს, თუ შორს მყოფ გადამთიელს. საქართველო უხვად იყო მომადლებული ნაყოფიერი ზვარ-მინდვრებით. გარდა ამისა მიწის ფართობის ორმოცი პროცენტი ტყეს ეკავა, სადაც ოთხასამდე ჯიშის ხე-ბუჩქი ხარობდა.

უთხოვარი, ბზა, ძელავა, მუხა, ეკალმუხა, ცაცხვი, წაბლი, ურთხმელი, რცხილა და ასე შემდეგ. მარტო მუხის რვა სახეობა არსებობდა. აგრეთვე ორიათასოთხასამდე მინერალური

წყარო, ორიათასი მინარე და ყველა სახის სამკურნალო “კურორტი” იპოვებოდა, რაც კი დელამიწაზე იყო. ასევე ბევრი გაგვიჩინა მიწისქვეშა წყლები, მდინარეები და ტბები. მარგანეცი, მარმარილოს მთები, ურანი, ოქროს მთა, რკინის საბადოები და ვინ იცის რა აღარ.

რა ხანია ხმალამოწვდილობას ყავლი გაუვიდა. ციხე-კედელთა მღვწეულები წლების მორევის საბრუნავში ჩაინთქნენ. გაქრა ხევისურეთში ნაჭელი ხმლები, დავითფერულები, ჯაჭვის პერანგები, ფარები, ჩაჩქანები, მოვერცხლილი სიათები, მაგრამ საქართველო მაინც მომხდურთა სამიზნე დარჩა და ცრუ და მავნე ჩვენზეა მოსისიანებული.

ენა და პირი ვერ იტყვის ჩვენს წილად ხვედრებულ უკუდმართობას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შევძელით სულის მოთქმა და ქრისტეს მოძულე მოძალადეებისგან ერთხელ და სამუდამოდ თავის დახსნა.

მეფე ერეკლემ დიდი ფიქრისა და განსჯის მერე მართლმადიდებელ რუსეთთან “ტრაქტატ” დადო, საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ აყვანის შესახებ. მეფის გარდაცვალების შემდგომ რუსეთმა პირობა დაადგინა, საქართველოს სახელმწიფოებრიობა ფეხებზე დაიკიდა, ხელშეკრულება გააუქმა და ავტოკეფალიაც ზედ მიაგოლა. აბა რას გახდებოდა ას მილიონზე მეტ დამპყრებელთან 5 მილიონიანი საქართველო! მაგრამ!

ქართველების მოჯანყე გული არ ჩამცხრალა, ისინი რუსეთის წინაშე ლოცვას არ მოყოლიან და შეთქმულებებს შეთქმულებებზე აწყობდნენ, თავისი თავი ისევ “თავად ყუდნებოდათ”.

ერთ-ერთი დიდი ამბოხების სამხადისი 1832 წელს გამჟღავნდა, რასაც უამრავი ქართველი ზვარაკად შეეწირა. საქართველოში აჯანყებები არ ჩამქრალა და დრო

და დრო იღვიძებდა.

ს ა ბ ჯ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს დამყარებისთანავე მის წინააღმდეგ კახეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილი აღსდგა. მართალია ეს ცდა ცუდ-უბრალოდ დასრულდა და რუსეთის ჯარისკაცებმა სისხლით ალუფხეს მისი ნაკვალევი, მაგრამ საქართველოს თავისუფლების წყურვილი არ მიუძინებია და დრო და დრო მოწვიმდა მათი რისხვა.

ამის დასამტკიცებლად გამოდგება 1930 წელს საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციის გატარების პერიოდი და 1937 წლის მასიური გამოსვლები, რომელიც მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე საქართველოში ერთ მილიონამდე უდანაშაულო მოქალაქე “ტროცკისტებად” არ შერაცხეს და გაუსამართლებლად არ გამოასაღმეს სიცოცხლეს.

უმაღლო საქმის მქმნელი საბჭოთა კავშირი მუდამ ახერხებდა საქართველოს მოთმინება დაეკარგა და ყალფზე შემდგარიყო. სხვადასხვა წვრილმანი უკმაყოფილებების გარდა განსაკუთრებით ყურადსაღებია 1978 წლის მოვლენები, როცა საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანებულება “რესპუბლიკებში მშობლიური ენის გაუქმების შესახებ”. რაც იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფო ენად რუსული ცხადდებოდა და სკოლებში და დაწესებულებებში ქართულად აღარ იმეტყველებდნენ.

რესპუბლიკები აჩოქოლდნენ, მაგრამ მღუმარედ შეხვდნენ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ო ბ ი ს საწინააღმდეგო განკარგულებას. საქართველოში კი გუთნის დედები და მეცნიერები ერთად დადგნენ, მხარი მხარს მისცეს, პროტესტის ნიშნად მიტინგი გამართეს და პოლიტიკურის უსამართლ გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს.

იმჯერად საქართველომ რუსეთს უკან დაახევინა, გამარჯვება იზეიმა

და “კონსტიტუციის პროექტ” წყალს გაატანა. მაშინ დანარჩენმა რესპუბლიკებად წოდებულმა სახელმწიფოებმა ქართველების წყალობით შეინარჩუნეს “დედა ენა” და ასცდნენ მოსალოდნელ საშიშროებას.

მახსოვს, თბილისში მოღვაწე ცნობილმა სომეხმა პროზაიკოსმა, ბენიკ სეირანიანმა გვითხრა მე და შოთა ნიშნიანიძეს, სომხეთი გაფაციცებით გადვენებდათ თვალს, რა შედეგი მოყვებოდა თქვენს “ბუნტს”, რომ თვითონაც გადაწყვეტილება მიეღოთო და არა მარტო სომხეთი, მთელი რესპუბლიკები ჩვენ შემოგვეყურებდნენო, თქვა შოთამ.

დამოუკიდებლობის მისაღწევად ქართველების ბოლო გაბრძოლება ისტორიაში 9 აპრილით შევიდა. როცა საბჭოთა კავშირის მაშინდელმა მეთაურმა ეგრეთოდებულმა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების ახლებურად წარმართვა გადაწყვიტა და “გლასნოსტი” და “პერესტროიკის” ძახილით რადიო და ტელევიზია გააყრუა, თავისუფლების იმედით გულმოცემულმა ქალაქის მცხოვრებლები მთავრობის სასახლისკენ დაიძრნენ.

სანაპიროზე აუად დაყუდებული, მზადყოფნაში მდგარი რუსი ჯარისკაცებიც დაჯოგდნენ და სანთლენით მოსული უიარალო მომიტინგეები წუთის ერთ გაელვებაში ქსელ-ხიფათში გამოამწყვდიეს, ალესილი ბარებით და ნიჩბებით მიესივნენ და მოედანზე აჩეხილ-აკაფული ადამიანების გორა დააყენეს.

რუსეთმა იმძლავრა. საქართველო ნამძლევი აღმოჩნდა, მაგრამ უფრო განიფესვა და შემტკიცდა და როგორც იქნა არსთა გამრიგემ შეგვიწყალა, მძიმე უღელს გამოვეღწიეთ და 1991 წელს საქართველომ პირველი პარლამენტი და პრეზიდენტი

აირჩია. რუსეთი მაინც ვერ შეეგუა მსუქანი ლუკმის დაკარგვას და ახალი თავში სახლელი და საზრუნავი გაგვიჩინა. წაგვართვა აფხაზეთი, იგივე სამურხაყანო და სამაჩაბლოც ზედ მიაყოლა. დასაბამიდან საქართველოს ძირძველი მიწა და ზღვა.

შაჰ აბასს უთქვამს, ქართველი ქართველი ხელით უნდა დაამარცხო!

აკი ასეც ხდება. შინაური და გარეული საძირკვილის გამოცლას უპირებს ახლად ფეხადგმულ სახელმწიფოს. ფულის მოხვეჭის სიხარბით გაცეტებული თანამომქმენი რას არ კადრულობენ დოლარების ხელში მოსაგდებ-მოსახვეჭად. ყიდიან ღირსებას, ყიდიან ნამუსს, ყიდიან სახელს და სამშობლოს.

წარუდინებელი სევდა – ნაღველი ტრიალებს საქართველოში.

ერი გამრავლების ნაცვლად კლებამია. არავის იცხვლებს თავს შობადობის ასაღორძინებლად და საგანგაშო ზარის შემოსაკვრელად.

ჩვენ კი წუთი წუთს ვმცირდებით და ვმცირდებით!

დიდი ილია გვმოდღვრავდა: “ადამიანი და მთელი ერი იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, იმიტომ რომ კაცურ კაცურად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავლობა”. და კიდევ “ცხოვრება ერთიანი მდინარეა, ორი დიდი ტოტისა. ერთს რომ ხორცისთვის მოაქვს საზრდო მეორეს სულისთვის. თუ ერთი დაშრა, ან მეორე, გვამი ერისა მკვდარია. ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული. ამიტომაც ვინც სწივის და ჰდაღადებს სახორციელო პურისთვის, ის ამღენივე, თუ არა მეტად უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისათვის”. მაგრამ ნათქვამია, “კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო”.

მართლის მთქმელს კი ყურის დამგდები არა ყავს. დაყრუებულან ირგვლივ, რამდენიც გინდა ილადადე, პატიოსნებას ვერ გაამარჯვებინებ და სულატკივებულს და უნუგემოს გულზე სალბუნად ლიტონ სიტყვებს ვერ დაადებ.

მიწაზე ფეხმოუკიდებელი მცენარესავით დაგტივტივებ და გული ვიოლინოსავით კვნესის!

ნებით თუ უნებლიეთ შორს წამოსულს ჩემი მამულ-დედული მენატრება.

რას არ გავიღებდი, ოღონდაც ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებს შემახედა. დამანახვა ფუნეკულიორიდან ცის ჭერს ავარდნილი ბრჭყვიალა ვარსკვლავ-ხოშლები. კუს ტბიდან ამოსარკული მთვარე, ბინდდაცემული ორღობები, ზვრებში გრძელყუნწიან ვაზის ფოთლებში შეყუყული თაფლ-ტუჩიანი მტკვნები, შეულამაზებელი სალამაზე და ცხადად ნაქცვი ზღაპარი.

როგორც კი ბუნება გამოიფხიზლებს და ტყე სამზისთვალოდ იწყებს სამზადისს, ჩემს გულისთქმას

ეგულისპასუხებიან სევდაგაფრთხოილი რიჟრაჟს გამომგებარე მზეწვიები, ბაზალეთის ტბაზე მოლოლოვე თეთრი და ყვითელი ღუმფარები, მოღულუნე მტკვარი.

კლდეებს შერწყმულ-შეზრდილი მიტოვებული კომკ-სამზერისები. ძველი ქართული ხალხური სიმღერის ფერი და მადლი, მრავალჟამიერი და ბაღჩებში გამოშხიგულეული მზესავით გაბრდღვიალებული მზესუმზირები, მზეს რომ აყვებიან და ჩაყვებიან.

სამშობლოს სიყვარული აწყალდიდებულ ზღვას ჩამოგავს, კალაპოტში რომ ვერ ჩააგდებ და ჯვებრს ვერ შემოაფლებ. ზვიარასავით ტანზე მკვიდრად შემოტმასნილი მისი სიყვარული გულს საგულეში აღარ მიჩერებს. მძინარს თუ მღვიძარს მეკიჟინება და თავისკენ მიყვიის. მეზ-მერეხივით ბორგნეული და ოცნება თამამი, დამპურებელი და მწიაღებელი სამკვიდრებელი ჩემი.

ქართველები თავგზას ნუ ავიბნევთ!

ტალახში ნუ ამოვიხორსლებით!

თვალი სიაკაცეზე ნუ გაგვექცევა!

წყალში ჩაყრილი ლოდებივით გულებს ნუ გავიქვავებთ!

სასოებაშიკვეთილები ნუ დავრჩებით და სულის სიმამაცეს ნუ დავკარგავთ!

ზესთა საუფლოში მისვლის და განკითხვის დღე თვალწინ გვეყენოს. დამეტებული სისწორით ვიაროთ და ვეცადოთ უფალთან პირნათლად წარვსდგეთ რომ საქართველოს წინაშე თავი არ შევირცხვინოთ! გვახსოვდე!

რაგინდ შორს იყოს სავალი სამშობლომდე, მასთან მისასვლელი გზა მაინც ახლოა!

ნუ დავივიწყებთ “ვისი გორისანი ვართ”!

ბრაიტენშთაინი

15.05.2008





## წარმომავალი

## დასახეობა

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მიუნხენის სამხატვრო სახლში გაიხსნა და ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდა ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ხატია დავითაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელსაც საფუძვლად ედო სამხატვრო სახლის მიერ გამოცხადებულ ლითოგრაფიის კონკურსში გამარჯვება. საბედნიეროდ, გამოფენაზე მოსულ სხვა ქართველებთან ერთად მეც მომეცა შესაძლებლობა დაესწრობოდი გამოფენის გახსნას და არაერთი სპეციალისტის შეფასება მომესმინა ქართველი მხატვრის ნამუშევრების გარშემო. მათგან აქ მხოლოდ სამხატვრო სახლის დირექტორის ქალბატონი მაია გრანინგერის სიტყვებს მოვიტან: „ამ გამოფენამ დაამტკიცა, რომ სამხატვრო სახლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვება მართლაც ღირსეულმა მოიპოვა. მე ვისურვებდი ხატია მიუნხენის აკადემიაშიც მუშაობდა და მას სწავლა იქ გაეგრძელებინა.“

— ხატია, პირველ რიგში მინდა მოგილოცო ეს გამარჯვება და გაკვირვებულმა გკითხო კიდევ: ეს შენი პირველი პერსონალური გამოფენაა?

დიახ, ეს ჩემი პირველი პერსონალური გამოფენაა. ძალიან მიხარია, რომ მას წარმატებით გავართვი თავი. თბილისში ვთვლიდი, რომ არ ვიყავი მზად პერსონალური გამოფენისათვის, რატომღაც თვითდაჯერებლობის გრძნობა მაკლდა.

- როგორ გახდი ამ კონკურსის მონაწილე?

- მას შემდეგ, რაც თბილისის აკადემიის პროფესორმა, ჩვენმა მასწავლებელმა, ბატონმა კლაუს ჰიპმა ჩემი ნახატები გერმანიაში წამოიღო და თავად მეც აქ მომიწვია პრაქტიკებზე, გაჩნდა იდეა ჩემი ნამუშევრები ჩაგვებარებინა მიუნხენის მხატვართა სახლის მიერ გამოცხადებულ ლითოგრაფიის კონკურსზე. იგი 2001 წლიდან იმართება. გამარჯვებული სტიპენდიით ჯილდოვდება. საბედნიეროდ, 2007 წლის კონკურსის გამარჯვებული მე გახდი. რის შემდგომაც, იანვარში კვლავ ვესტუმრე გერმანიას.

2 თვის განმავლობაში თავდაუზოგავად ვმუშაობდი, რადგან ესაც კონკურსის პირობებში შედიოდა. ყოველი გამარჯვებული მოვალეა სტიპენდიით სარგებლობის პერიოდში ინტენსიურად მუშაობდეს და ემზადებოდეს გამოფენისათვის. არ შემეძლია არ



ხატია დავითაშვილი

ავლნიშნო ის, რომ ამ ხნის მანძილზე ყველანაირად მებმარებოდა მხატვრის სახლთან არსებული ლითოგრაფიის სახელოსნოს ხელმძღვანელი თომ ქრისტენი. იგი მასწავლიდა ახალი ბეჭდვის ტექნიკას, სხვა ათას წვრილმანს, რაც საჭიროა თანამედროვე ბეჭდვის პროცესში.

- გამოფენაზე მოსულ სტუმართა შორის ქართველებს განსაკუთრებით გვეამაყებოდა, რომ პერსონალური გამოფენის აუტორი ჩვენი თანამემამულეა. ვფიქრობ მათ შენი პირადი გაცნობაც დააინტერესებთ.

- დავიბადე 1984 წელს, თბილისში. 2002 – 2007 წლებში ვსწავლობდი თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის სპეციალობით. ჯერჯერობით, სხვა თარიღებს არ გამოყოფდი. თუმცა, 2008 წლის 28 დეკემბერიც, გერმანიაში ჩემი პირველი გამოფენის გახსნის დღე, ჩემთვის მნიშვნელოვანი გახდა. მხატვარი გარშემო ნამდვილად არავინ არ მყავს. მაგრამ ეს „ნაუსნ“ რომ გატყდებოდა ჩემი მშობლები თავიდანვე ამჩნევდნენ. ძალიან ცელქი ბავშვი ვყოფილვარ, არაფერი არ მაჩერებდა ფანქრისა და ფურცლის გარდა. ხშირად იმასაც მახსენებენ, მე-2 კლასში როგორ დავიკარგე. სკოლა იმდენად ახლოს იყო ჩვენი სახლიდან, რომ 5 წუთიც არ მჭირდებოდა გზაში. დედაჩემი ფანჯრიდან მადევნებდა ხოლმე თვალს. ერთხელაც გავიდა 10 წუთი, ნახევარი საათი, ერთი საათიც, მე კი სახლში არ მოვედი. ატყდა წარმოუდგენელი აურზაური, ძებნა. ბოლოს სკოლის გზაზე სახელოსნოში, მხატვრებთან მიპოვეს. სწორედ მაშინ გადაწყდა ჩემი სამხატვრო სკოლა-ათწლეულში



შეყვანა. ბედნიერი ვიყავი, როცა ყოველ დღე სკოლის შემდეგ იქ მივდიოდი. ბავშვობიდანვე გამიჩნდა მიზანი – ჩამებარებიან სამხატვრო აკადემიაში. საბოლოოდ, აკადემიაში სწავლისას გადავწყვიტე სპეციალობად დაზგური (ბეჭდვითი) ხელოვნება ამერჩია, რაშიც ძალიან დამეხმარა ჩემი მასწავლებელი, ბატონი გოგი წერეთელი.

- ხატია, შენ დაამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემია, ამავე დროს შესაძლებლობა მოგეცა გაგეცნო ევროპული სამხატვრო სკოლაც. რას ფიქრობ, რამდენად განსხვავებულია ერთმანეთისაგან სწავლა, პროფესიონალური მიდგომა და საერთოდ პირობები.

- საქართველოში სწავლა ძირითადად თეორიულ დონეზე მიმდინარეობს. პრაქტიკული მეცადინეობა თითქმის არ არსებობს. თანაც, იქ ისევე კლასიკურ სწავლებას ექცევა მთავარი ყურადღება. აქეთ კი პირიქით, თანამედროვე ხელოვნებაა განვითარებული. ხალხსაც განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ხელოვნებისადმი. მაგალითად, აქ ჩემს გამოფენაზე პირველივე დღეს 5 სურათი გაიყიდა. საქართველოში ეს წარმოუდგენელია. ქართველს ურჩევნია ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრების ნაცვლად გამოჩენილ მხატვართა შედეგები შეიძინოს.

თუ აქ თავს გავიტან ჩემი პროფესიით, იქ ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. ამის გამო ძალიან ვშიშობ. ამიტომაც გადავწყვიტე კერძო ბიზნესისათვისაც მომეკიდა ხელი, მე და ჩემმა მეგობრებმა თარჯიმანთა ბიურო გავხსენით.

სამწუხაროდ, ჩვენი თაობა ძირითადად საზღვარგარეთ

იკიდებს ფეხს. ასეთი ურთიერთობა ერთი მხრივ კარგიც არის, აქაურები უფრო კარგად ეცნობიან საქართველოს, მაგრამ, მეორე მხრივ ნამდვილად გულდასაწყვეტიც. გერმანიაში როცა ჩამოვედი ძალიან დიდი განსხვავება ვიგრძენი ჩვენსა და ამ ხალხს შორის. აქ ყველა იცინის, ესალმება ერთმანეთს, ჩვენთან თავჩაღუნული, მოღუშული დადიან. აქ წარმოუდგენელი წესრიგია, სისუფთავე... თუმცა იდეალური ის იქნებოდა, ეს ყველაფერი რომ შერწყმულიყო ერთმანეთში. ჩვენ რაღაც-რაღაცეები ამათი გვესწავლა, მათ ჩვენი – ურთიერთობები, სიტბო, მშობლებისადმი ყურადღება.

- მალე შენ საქართველოში დაბრუნდები, რა გეგმები გაქვს მომავალში?

მე ისევ სწავლის გაგრძელებას ვაპირებ. ვოცნებობ აკადემიის ლექტორი გავხდე. ამ გამოფენას თბილისშიც მოვაწყობ. სხვა, ვფიქრობ დროის ამ



ხატია დავითაშვილი და მისი სტუმრები

მცირე მონაკვეთში დაგროვილი გამოცდილების წყალობით, იმ ადამიანების დახმარებით, რომლებიც ჩემს მფარველ ანგელოზებად იქცნენ, განსაკუთრებით ეს კლაუს ჰიპს ეხება, მე ვიპოვი ჩემში იმ შემართებას და სულისკვეთებას, რომელიც ჩემი მიზნების განხორციელებაში დამეხმარება. ეს გამოფენა კი ჩემთვის წარმატებული დასაწყისის თილისმა გახდება, რომელსაც ყოველთვის ექნება გაგრძელება.



## გერმანია - გერმანიის ქვეყანა



17-18 აპრილს ქ. ახალციხეში ჩატარდა გერმანული ენის კონკურსი თემაზე "გერმანია-მეგობრების ქვეყანა". კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ასპინძის, ბორჯომის და ახალციხის სკოლების მოსწავლეებმა, ვისაც შესრულებული ჰქონდა 14 წელი. კონკურსი ორგანიზებული იყო ქართულ-გერმანული საზოგადოება "ედელ ვაისის" (ქ. ახალციხე, თავმჯდომარე გ. წიკლაური) და გერმანიის ქართული სათვისტომოს (ქ. მიუნხენი, თავმჯდომარე ლ. დათაშვილი) მიერ და საქართველოში გერმანიის საელჩოს მხრიდან სარგებლობდა აქტიური მხარდაჭერით.

კონკურსი ჩატარდა ახალციხის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ინსტიტუტის დირექციას. მონაწილეებმა წარმოადგინეს კონკურსში განაცხადის სახით სახლში მომზადებული ტექსტი თემაზე "გერმანია-მეგობრების ქვეყანა". სულ შემოვიდა 14 განაცხადი. კონკურსანტებს უნდა გამოეკვლინათ თავიანთი ცოდნა შემდეგი თანამიმდევრობით: კარნახი (15 წინადადება, მაქსიმუმ 30 ქულა), ტესტირება (50 შეკითხვა, მაქსიმუმ 20 ქულა), კითხვის უნარი (2 მოკლე 5 წუთიანი ტექსტი არჩევის შესაძლებლობით, მაქსიმუმ 20 ქულა) და საუბარი თავისუფალ თემაზე (5-10 წუთი, მაქსიმუმ 30 ქულა).

ჟიური შედგენილი იყო კონკურსანტების მშობლების თხოვნის გათვალისწინებით: ჟიურიში არ ყოფილიყო არცერთი ადგილობრივი გერმანული ენის სპეციალისტი, ვისი მოსწავლეც კონკურსში იღებდა მონაწილეობას. კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე იყო ბატონი დოქტ. ტომას ჰენცშელი, საქართველოში გერმანიის საელჩოს

მეორე მდივანი და კიდევ სამი გერმანულის მცოდნე წევრი.

კონკურსი გაგრძელდა დაახლოებით 4 საათი, იგი ორგანიზებულად და ობიექტურად ჩატარდა.

შედეგების შეჯამების დროს გამოიკვეთა მაქსიმალური ქულა 81, მას მცირე ჩამორჩენით მოჰყვებოდა მეორე ადგილის მფლობელი 80,3 ქულით, მესამეზე - 70,5.

ამ სამი მონაწილის შედეგები კიდევ ერთხელ გადამოწმდა, მაგრამ შედეგი უცვლელი დარჩა. გაიმარჯვა შორენა გოზალიშვილი, მეორეზე გავიდა მარინე კაპანაძე, მესამეზე კი - თამთა მათაშვილი. ვულოცავთ მათ ამ წარმატებას. ყველა კონკურსანტმა მიიღო გერმანიის საელჩოს მიერ დაწესებული სამახსოვრო პრიზი, მეორე და მესამეზე გასულეებმა - ფასიანი პრიზები, პირველზე გასულმა კი დაიმსახურა გერმანიის სათვისტომოს თავმჯდომარის ბატონ ლერი დათაშვილის მიერ დაწესებული მოწვევა გერმანიაში ქ. მიუნხენში 2 თვით გიმნაზიაში სწავლის გაგრძელებით.

აქვე კონკურსის დამთავრების შემდეგ მშობლებმა და ბავშვებმა გამოთქვეს სურვილი მომავალ წელსაც მიიღონ მონაწილეობა ასეთ კონკურსში. ჩვენი ინფორმაციით, მონაწილეთა რაოდენობა ბევრად გაიზარდება, რადგან ამ კონკურსმა ბიძგი მისცა ახალგაზრდებს გერმანული ენის უფრო კარგად დაუფლებამი. კონკურსის ობიექტურად ჩატარებამ და შეფასებამ ხალისიანი გახადეს გერმანული ენის გაკვეთილები.

გია წიკლაური



ფერნანდო „ქართულის“ ფაბრიკებზე  
გთავაზობთ ანწინძის, ჭორჭოძისა და  
ახალციხის სკოლებში ჩატარებული  
კონკურსის მონაწილეთა 10 საყვარელი  
თემის სათაყობით  
„ერემანია - შვედების  
ქვეყანა“  
(თემები იბეჭდება უსვლელად)



*Keti Gagadse – Oschora*

## *Deutschland – das Land der Freundschaft*

*Es reden und träumen die Menschen viel  
Von besseren künftigen Tagen.  
Nach einem glücklichen, goldenen Ziel,  
sieht man sie rennen und jagen.  
Die Welt wird alt und wird wieder jung.  
Doch der Mensch hofft immer auf Verbesserung.*

*Johann Wolfgang von Goethe*



*Ich heiße Keti Gagadse, bin 14 Jahre alt und wohne in Aspindsa, im Dorf Idumala, besuche aber die Schule im Dorf Oschora.*

*In meiner Schule lernen wir Deutsch als Fremdsprache. Deutschlernen macht mir Spaß. Wir lernen Gedichte, Lieder und organisieren Festabende. Das alles hilft uns beim Lernen der Sprache, aber es gibt einen großen Unterschied zwischen dem Lernen im Ausland und der Muttersprache. Es spielt nämlich eine große Rolle, wie nah wir uns der Sprache und deren Land fühlen. Je intensiver diese Verbindung ist, desto schneller und erfolgreicher wird das Lernen. Ich finde, dass die Rolle des Goethe-Instituts hier eine wichtige Rolle spielt.*

*Unsere Freundschaft hat eine lange Geschichte, z. B. zwischen den Universitäten der beiden Länder, Studentenaustauschprogramme usw. Aus unserem Dorf sind junge Mädchen nach Deutschland gereist, um die Sprache von Goethe und Schiller besser zu beherrschen.*

*Sehr groß ist die Rolle von Schewardnadse in der Geschichte von Deutschland, die Zerstörung der Berliner Mauer und danach die Vereinigung zweier Deutscher Staaten.*

*Jedes Kind bei uns in Georgien hat eine „blaue Blume“ ich auch. Wir träumen, wir lernen, wir arbeiten, wir kämpfen für eine bessere Zukunft in unserem Land.*

*Ein Studium in Deutschland und der Aufenthalt in einem Land, dessen Sprache ich erlerne, machen einen jungen Menschen reich, nicht an Geld, sondern an Geist. Darum finde ich, dass diese Freundschaft erfolgreich wird.*

**ჩვენი ქართული აპრიკლეპს ქურნალიცხთა ქელის გავარტოქვებან და ელის ყველა  
დაინგვარენებელი ჰირის გამონგაქურებან სავთგადქებარივ სანქიქებზე ქურნალთან  
თანამქროქლორის ქუთხით.**

**დაგვიკავქირდით:  
qartuli@satvistomo.de**

## Deutschland – das Land der Freunde

Chasalashwili, Nino



Ja, Deutschland ist wirklich das Land der Freunde. Nur das, was es für Georgien geleistet hat, ist dafür schon genug.

Länder und Menschen haben ihre Schicksale. Siege und Niederlagen, Freude und Not begleiten ihr Leben. Es ist eine große Bedeutung, wenn man über jemanden schützend seine Hand hebt. So verändern die Jahre Beziehungen zwischen den Ländern und den Menschen. Ob die Freundschaft echt ist, prüft die Zeit.

Freundschaft zwischen Georgien und Deutschland hat eine große Tradition. In den letzten Jahren wurde es klarer und sicherer. Viele Studenten und Schüler sind schon nach Deutschland gefahren um dort zu lernen. Das ist für mich ein großer Anreiz und ich versuche mein Wissen zu erweitern. Am allerwichtigsten ist, dass dank der Freundschaft zwischen den Ländern, wir die Möglichkeit eines Austausches haben. Viele Georgier arbeiten schon in Deutschland. Eine Verwandte von mir hat mir viel über die Gastfreundschaft der Deutschen erzählt. Sie war als Au-pair Mädchen in Deutschland. Sie hat zwei so große Kinder betreut. Die Familie hat ihr die Kosten für einen Deutschkurs bezahlt. Sie hat sich dort wie zu Hause gefühlt. Sopo schickte uns schöne Bilder und Ansichtskarten und ausführliche Briefe. Sie hat viel erlebt und gelernt. Jetzt ist sie viel arbeitsamer, pünktlicher und ordentlicher.

Sie ist in Deutschland verliebt und hat mich auch vergiftet“. Diese ransteckende Liebe“ zu Deutschland ist rschuld“ daran, dass ich fleissig deutsch lerne. (Ich versuche es, ob es mir gelingt weiß ich noch nicht) Ich hoffe sehr, dass ich eines Tages auch Deutschland besuchen kann um dort zu studieren. Ich habe meiner Schwester versprochen, ihr dort eine Puppe zu kaufen und wenn es mir gelingt, wird auch sie vergiftet“ ...

Ich habe lange darüber nachgedacht, was ich alles schreiben konnte, mehr ist mir leider nicht eingefallen. Da ich noch keine deutschen Freunde habe, kann ich auch noch nicht über sie schreiben. Ich meine, wenn sich die Länder schätzen, dann lieben die Menschen auch einander. Oder umgekehrt!

Deutschland – Das Land der Freunde

*Beridze, Tamuna*



Wenn ich über Deutschland etwas höre, so zieht mich irgend eine Kraft zu diesem Land.

In meinen Gedanken sehe ich das Land mit blauem Himmel, weißen Wolken und von Sonnenstrahlen beleuchtet. Deutschland ist der Ort, wo jeder Mensch sein Ziel erfüllen kann, wo jeder Mensch geschätzt wird. Vielleicht hängt das alles mit der reichen Ökologie des Landes zusammen, aber die Hauptsache ist doch der Mensch. Deutsche Höflichkeit, Ordnung und Disziplin sind allen Menschen bekannt.

Vielleicht fragt man sich, wie begründe ich das alles. Ich sage Ihnen: Obwohl ich dieses Land noch nie gesehen habe, weiß ich etwas darüber. Mit dem Computer und dem Fernseher sehe ich mir oft das Leben der Menschen an, deren Sprache ich lerne.

Wahrscheinlich lacht man, ich liebe es mir die Trickfilme anzusehen. Ich sehe mir oft die Fernsehsendungen auf deutscher Sprache an, die Welle „Super RTL“, hier zeigt man die Shows von Kindern, die genau so alt sind wie ich, ich erfahre etwas über ihr Streben, ihre Interessen, über ihre freundschaftlichen gegenseitigen Beziehungen.

Ich habe auch viel über Deutschland und die Deutschen von den Freunden meiner Mutter gehört. Sie waren in Deutschland und sind begeistert zurückgekehrt.

Die Freundin meiner Mutter, die in Deutschland lebte, erinnert sich: Als sie in Deutschland ankam, hat die Freundin der Gastgeberin sie in eine kleine Villa wochenlang eingeladen. Sie gingen zum See schwimmen und da die Freundin meiner Mutter nicht schwimmen konnte, hat die kleine Tochter von Frau Schweiz ihr ihre Hilfe angeboten, ihr das Schwimmen beizubringen. Ein sechs Jahre altes Mädchen lehrte sie Schwimmen, sogar kleine Kinder sind hilfsbereit.

Auch die Erzählung meiner Lehrerin hat auf mich großen Eindruck gemacht. Sie war das erste Mal in Deutschland. Sie war in einer Stadt, die ihr unbekannt war. Da sie den Weg zum Zentrum nicht kannte, fragte sie nach dem Weg. Der Passant erklärte ihr den Weg ganz genau und entschuldigte sich, dass er sie nicht begleiten konnte, da er dringend ins Büro musste. Das erinnert mich daran, wie höflich und pünktlich die Deutschen sein sollen.

Deutschland ist das Land der großen Kultur. Die deutschen Dichter und Denker versuchten schon immer, die Kulturen anderer Länder kennen zu lernen. Der deutsche Dichter und Übersetzer Friedrich Bodenstedt lebte in Tibilissi. Er lehrte die Georgier die deutsche Sprache.

Deutsche sind bereit allen Menschen der verschiedenen Nationen Hilfe zu leisten, sie an ihr Herz zu drücken und fröhlich mit ihnen zu sein.

In Deutschland lebt und wirkt die größte georgische Geigerin Liana Issakadze, die mit Hilfe der deutschen Freunde einen großen Erfolg hat. Ich glaube, dass es ein großes Glück für beide Länder ist, dass wir Freunde sind.

Ich habe den großen Wunsch viele deutsche Freunde zu haben und zusammen mit ihnen zu leben. Ich will das Land kennen lernen, wo Johann Wolfgang von Goethe, Friedrich Schiller, Heinrich Heine, Bertold Brecht und viele berühmte deutsche Dichter und Gelehrte lebten und wirkten.

Deshalb warte ich mit Ungeduld auf die Reise nach Deutschland – ins Land der Freunde.

# ლევალეხი წმ ილია მართლისა და ილიას ცხოვრებიდან



წმინდა ილია მართლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი რამ დაწერილა და უფრო მეტი ზეპირი გადმოცემებით მოსულა ჩვენამდე. რა არ თქმულა მის სადიდებლად და სალანძღავად. სხვადასხვა თაობისა დამსოფლმხედველობის ქართველებს მისთვის „საქართველოს უგვირგვინო მეფე“ უწოდებიათ და „გლახთა სისხლისმსმელი წურბელა“ც, დაფნის გვირგვინითაც შეუმკიათ მისი შუბლი და ტყვიითაც შეულეწავთ, ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსადაც უდიარებიათ და მავნებლადაც მოუნათლათ, მისი ლექსები მთელი ცხოვრების მანძილზე სულიერ საზრდოთაც გაუყოლებიათ და „მდარე პოეტურ ნაცოდვილარადაც გამოუცხადებიათ,

მაგრამ ამ ბუმბერაზისთვის გვერდით ვერ აუვლიათ. არ არსებობს მეტ-ნაკლებად წიგნიერი თაობა ქართველებისა, ვისაც ილიას შემოქმედება არ აღელვებს, მისი პიროვნება არ ხიბლავს და მისი მოკვლა არ სტკივა.

1907 წლის 2 აგვისტოს გამოასალმეს სიცოცხლეს ილია წინამურთან. ამ საბედისწერო შემთხვევის დროს იგი მეუღლესთან, ოღლა გურამიშვილთან, ერთად იმყოფებოდა. ოღლა მკერდით გადაჰფარებია ილიასაკენ ნასროლ ტყვიას, შეძახილით: „ამ კაცს ნუ მომიკლავთ, მე მომკალით, თქვე ურჯულოებო! ეს ქვეყანას სჭირდება.“ მკვლელებმა არც უმწეო ოღლა დაინდეს, თავში კონდახი ჩაარტყეს და უგონო ქალი ღელეში გადააგდეს.

მძიმედ დაჭრილი ოღლა ოთხი თვე იწვა საავადმყოფოში და მეუღლის დაღუპვა არ იცოდა. მოგვიანებით მძიმედ დაავადებული თბილისში, მთაწმინდის უბანში, ნაქირქვებ ბინაში დასახლებულა, რათა მთაწმინდაზე, მეუღლის საფლავზე ყოველდღე ევლო. ბოლო დროს ამასაც ვეღარ ახერხებდა და თავს ილიას წერილებისა და წიგნების კითხვით იმშვიდებდა.

ამ საოცარ მეუღლეს ილია „ციდან მოვლენილ ადამიანს“ ეძახდა, აბა სხვა რა შეიძლება უწოდო ქალს, რომელსაც მეუღლე მოუკლეს, მან კი, თბილისის გენერალ-გუბერნატორს, მკვლელების შეწყენარების თხოვნით, ასე მიმართა: „მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა მათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა... მე თითქოს მხოლოდ იმისთვის დაერჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა – შეუნდო იმ უბედურ, გზააბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია, ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთისოფელში – შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიური სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმ მტრებისას, „რამეთუ არა იციან, რას იქმან.“



ოლღას ამ წერილს გამოჩენილი რუსი ლიტერატორი გორბუნოვ-პოსადინი გამოეხმაურა, იგი გაკვირვებას ვერ მალავდა ოლღას საქციელის გამო და ხმამაღლა ამბობდა: „როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაისმის – მოჰკალ, ჩამოახრჩვე, დახვრიტე! – ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც მხეცურად დაჭრეს, ევედრება მთავრობას, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო. აქამდე ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდის. ახლა უნდა ვთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან აღმოაშუქა.“

საოცარი სიყვარული აკავშირებდათ ილიას და ოლღას. მათ 1863 წელს საიდუმლოდ დაიწერეს ჯვარი თბილისის სამების ეკლესიაში. ჯვრისწერა აღასრულა მღვდელმა ნიკოლოზ არდაზიანმა. ილიას მხრიდან „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი, დავით ყიფიანი და ილიას ნათესავი ნიკოლოზ ჭავჭავაძე, დაესწრნენ, ოლღას მხრიდან კი – ფლიგელ-ადიუტანტი, პოდპოლკოვნიკი ილია ჩოლოყაშვილი და სულხან თუმანიშვილი.

ერთ-ერთ წერილში ილია ცოლს ასე სწერს: „ცხოვრება და მისი აზრი მას შემდეგ გავიგე, რაც შენ შეგიყვარე სხვანაირად რომ ვთქვა, მანამდე დამზრალი ვიყავი, ჩემო მეგობარო, შენ გამომეცხადე და დავიწყე სულით აღვსილი ნამდვილი ცხოვრება.“ ალბათ ილია ჭავჭავაძის ძალიან ბევრი ნააზრევი ჩვენთვის უცნობი დარჩებოდა და ჩვენამდე ვერ მოაღწევდა, მის გვერდით ერთგული და ჭკვიანი ქალი რომ არ ყოფილიყო. ილიას დაღუპვის შემდეგ ოლღამ საგურამოში და თბილისის სახლში აღარ ისურვა ცხოვრება და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა, რომ საგურამოს სახლში წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა გახსნილიყო, თბილისში კი ახლანდელ ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლში ილიას სახლ-მუზეუმი დაეარსებინათ.

გაბოლშევიკებულ საქართველოში, ილიას მოხუცი ქვრივი ყურადღებასა და პატივს მოკლებული იყო. ერთ-ერთ ოჯახში ილიას 1914 წლის თხზულებათა გამოცემა ინახება, რომელსაც აწერია: „ვიყიდე ილიას მეუღლისაგან, რომელიც ბაზარში ჰყიდდა ილიას წიგნებს.“ ცნობილია ის ფაქტი, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილიას მეუღლეს პენსია დაუნიშნა, რომელიც მასთან ბანკის ერთ-ერთ თანამშრომელს დაჰქონდა. ერთ დღეს მას ოლღა აივნის მოაჯირთან სანთლით ხელში მდგარი დაუნახავს, იგი მთაწმინდისკენ იყურებოდა და თან ჩურჩულებდა: „მოვდივარ, ილია, მოვდივარ.“

ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ოლღა გურამიშვილი 1927 წლის 30 აპრილს თბილისში, ნაჭირავებ ბინაში, საკმაოდ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მთაწმინდაზე ილიას გვერდით.

ილიამ კი სიცოცხლეშივე შეუნდო თავის მკვლელებს ცნობილი ლექსით „ლოცვა“:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,  
მუხლმოდრეკილი, ღმობიერი ვდგევარ შენ წინა:  
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,  
არ მინდა ამით შეურაცხვეყო მე ლოცვა წმინდა  
არამედ მსურს...მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,  
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული,  
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაც გულს  
ლახვარი მკრან,  
გთხოვდე შეუნდე არ იციან, ღმერთო, რას იქმან! „

1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა განიხილი ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და განაჩინა; “ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმინდანად და ეწოდოს მას ილია მართალი.“

*მოამზადა*  
**ეკატერინე ცირიკაშვილი**

გთავაზობთ გერმანიის ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში აღიარებულ დამოწმებულ თარგმანებს საგაღმწიფო “ISO-Norm”-ის დაცვით ხანმოკლე ვადაში და შეღავათიან ფასებში.

**მაკა ბაუერი**, დიპლ.-გერმანისტი,  
სამგზის ნაფიცი მთარგმნელ-თარჯიმანი გერმანიაში  
მთავარი ბიურო: Industriestr. 23, 97437 Hassfurt  
ტელ.: 09521/958459; მობ.: 0160/92223212;  
Fax: 09521/1258  
[www.dolmetscher-georgisch.de](http://www.dolmetscher-georgisch.de)  
[maka.bauer@gmx.de](mailto:maka.bauer@gmx.de)  
ბიურო მიუნხენში: Thierschstr. 28, 80538 München  
089/3234202; 0179/2559199

# ნართექული

# სიყვანპილა

თომას გერშაიდი  
თარგმანი ირმა ქიმიჩიძისა

I.  
ჰაინრიხი ზობეკმა სანთებელას თავი ახადა, ცეცხლი დააკვესა და «გოლოაზს» მოუკიდა. სიგარეტი ღრმად მოქაჩა, სანთებელა ჯიბეში ჩაიღო და მიეგრძნო ოპელს, რომლითაც მან მოხუცი ჰერმანი ქირურგთან მიიყვანა. მალე ორთოპედის ჯერიც დადგა. სამოქალაქო სამსახურის ბოლო კვირები იყო. მის ფუნქციაში შედიოდა ინვალიდების ექიმებთან ტარება. ათასი რამ უტრიალებდა თავში: ფიქრები უმაღლესში სწავლის დაწყებასა და მოხუც კაცზე, რომელიც მას ექიმთან უნდა წაეყვანა, რადგან ამ საქმის კეთება სხვას არავის სურდა. ჰაინრიხმა სიგარეტის ნამწვი ფეხით გასრისა. მან ექიმის კაბინეტის ზარის ღილაკს ხელი დააჭირა და ხის მძიმე კარი გააღო. ჰერმანი ინვალიდის სავარძელში იჯდა და მისაღებში ელოდებოდა მას. ჰაინრიხისთვის ზედაც არ შეუხედავს.

«მზად არის?» ჰკითხა მან ხანშიშესულ, ამპარტავან მედლას.

«საბუთები აქ არის», უპასუხა მან ჰაინრიხს და მიაწოდა ორთოპედთან გადაგზავნისთვის საჭირო მიმართვა. «შემდეგში რომ მოხვალთ, მანქანა უნდა»...

«თქვენ არა გაქვთ ჩემთვის მითითებების მოცემის უფლება», უკმეხად მიუგო ჰაინრიხმა. მას აღარ გაუგონია, როგორ მიაძახა აღშფოთებულმა მედლამ, რომ ასეთი რამ მის პრაქტიკაში არ ყოფილა.

«ბატონო ჰერმან, ორთოპედთან უნდა წავიდეთ», მიმართა ინვალიდის სავარძელში მოთავსებულ მოხუცს.

«სამშობლოს მოღალატე», შეუღრინა მოხუცმა. ჰაინრიხმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.

«თქვენ შეგიძლიათ მიღრინოთ, რამდენიც გინდათ, მე სულ ფეხებზე მკიდილი», უპასუხა მოხუცს და ინვალიდის სავარძელს ქამარი გადაუჭირა.

«შენისთანებს ჩვენ...» ჰაინრიხს მეტი აღარ გაუგონია. მანქანის კარი ხმაურით მიაჯახუნა.

## II.

ჰაინრიხმა ჰერმანი უსიტყვოდ შეიყვანა სტაციონარში. ერთ-ერთმა მომვლელმა მოხუცი ჩამოართვა, რომლის თავიდან მოშორებამაც ჰაინრიხი გაახარა.

კიდევ რამდენი ხანი უნდა აეტანა მისგან ასეთი დამცირება? სამოქალაქო სამსახური მაინც მალე დამთავრდებოდა და ზომ არ ჯობდა, მოეთმინა?

ექიმები ებილფესიით დააგადებულნი პაციენტით იყვნენ დაკავებულნი. მედლების ოთახში ჰაინრიხი მარტო დარჩა. გასაღებებიც იქ დარჩენოდათ. მან ცხვირსახოცით გამოაღო უჯრა და ავადმყოფის ბარათი ამოიღო.

«ჰელმუტ ჰერმანი, დაბადებული 1923 წელს რაიდტში, მუშაობდა მასწავლებლად და 10 წლის წინ პენსიაზე გავიდა. სამი წელია მოხუცებულთა სახლში და ექვსი თვეა, რაც გერონტოფსიქოლოგიურ განყოფილებაში იმყოფება. დეპრესიულობა და ფარული აგრესიულობა, ორივე ფეხის დამბლა. სამედიცინო თვალსაზრისით ორგანული დაავადება არაა აღმოჩენილი», ეწერა ბარათში.

ჰაინრიხმა ბარათი კარადაში დააბრუნა. ოთახში ექთანს გერდა შემოვიდა. «საქმე არაფერი გაქვს?» «საწოლებია გასასწორებელი», უპასუხა ჰაინრიხმა. «საიდან დავიწყო? დღეს ვინმე ხომ არ გარდაცვლილა?»

«ჯერ ჰერმანს მიხედვე, თორემ ისევ დაიწყებს ყვირილს. ახლა აბაზანაშია», მიუგო მედლამ.

ჰაინრიხი მოხუცის ოთახში შევიდა. მთელს ოთახში სამხედრო დისციპლინა და კონტროლი სუფევდა. სკამზე იღო აბსოლუტური სიზუსტით გადაკეცილი შარვალი. ტუმბოზე ერთმანეთის მიყოლებით ეწყო ორი წიგნი, ღამის ნათურა და წყლის ჭიქა მარჯვენა კუთხეში. საწერ მაგიდაზე ყაზარმული სიზუსტით ელაგა ორი ფანქარი, კალამი და საწერი ქაღალდი. ჰაინრიხმა შარვლიანი სკამი კარის სახელურს შეუღდა.

კარადა ღია იყო, რადგან კლინიკაში დაშვებული არ იყო მისი ჩაკეტვა. ჰაინრიხმა მხერა შეავლო თაროებს. აქაც სამხედრო წესრიგი სუფევდა. პერანგები, შარვლები და პულოვერები თაბახის ფურცლების ზომაზე იყო დაკეცილი და ერთმანეთზე კოხტად ეწყო. მან თითები შეაცურა ტანსაცმელში და მოსინჯა. თუმცა, რა უნდა ეპოვა იქ? ჰერონი ან სხვა რომელიმე ნარკოტიკი? არყის ბოთლი? ჰერმანი ამის გამკეთებელი არ უნდა ყოფილიყო.

კარადაში ძველი ლაბადა ეკიდა, რომლის მარცხენა მხარე საკმაოდ გაცვეთილი იყო. ჰაინრიხმა მიმოიხედა. კარს იქით ჩამიჩუმი არ ისმოდა. მან ლაბადა თავისკენ მისწია და ჯიბეები მოიხრიკა. ყველა ჯიბე ცარიელი იყო. ახლა უბის შიდა ჯიბეს შეავლო ხელი. ისიც ცარიელი აღმოჩნდა. «სამწუხაროა. იქნებ აქ იარაღი ჰქონდეს დამალული», გაუელვა თავში.

ახლა ლაბადის ხაოიანი ქსოვილის სინჯვა დაიწყო, რომელსაც ალბათ ბევრი წვიმა და თოვლი ახსოვს. ლაბადის შიგნითა ნაწილში რაღაც მაგარი მოხვდა ხელში. მან ლაბადა ამოატრიალა და ხელი დაუსვა სარჩულს. იქ საიდუმლო ჯიბეს წააწყდა. მართლაც დიდი სიხუსტით უნდა ექებო, რომ მიაგნო. ერთი დიდი გახსნა და ხელი ფრთხილად შეაცურა სარჩულში. იქნება ხაფანგი აქვს დამალული, ან კიდევ თავის საწამლაგი, გაიფიქრა თავისდაუნებურად. თუმცა ეს მისთვის სულ ერთი იყო. რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეგო, რა იყო იქ დამალული. ხელს ამოჰყვა მუყაოს წიგნაკი.

ჰაინრიხს ვერმანხტის სამხედრო ბილეთი ეჭირა ხელში.

### III.

მზე კარგად აჭერდა, როცა ჰაინრიხმა ინვალიდის საგარძელში მჯდომი ჰერმანი მანქანაში ჩასვა. თუმცა ახალგაზრდა კაცი მზის მცხუნვარებას კი არა, მუცელში წვას უფრო გრძნობდა.

გუშინ კიოლნში იყო, სადაც მოინახულა მუზეუმი, რომელშიც წინათ გესტაპოს მიერ პატიმრები იქნენ ნაწამები და მოკლული. მას შეხვედრა ჰქონდა ერთ-ერთ ისტორიკოსთან, რომელმაც ნათელი მოჰფინა ომისდროინდელი ჯარისკაცების ისტორიას. ჰაინრიხმა აქ გაიგო, სინამდვილეში ვინ იყო ჰერმანი.

ჰაინრიხმა კადეტის კარი გააღო და უსიტყვოდ ჩაჯდა. უსაფრთხოების ქამარი გადაიჭირა, თუმცა არ უნდა დაეიწყებოდა, რომ ჯინსის ქურთუკის მარცხენა ჯიბეში პლასტმასის გადასაბმელი ედო. ის ქალაქს გასცდა, გაზს ფეხი დააჭირა, სიჩქარეს მოუმატა და სოფლის გზაზე გავიდა.

«დღეს ერთ ლამაზ ექსკურსიას გაუკეთებთ, ბატონო კუპერს», თქვა ჰაინრიხმა.

«მე ჰერმანი მქვია», ისევ შეუდრინა მოხუცმა.

«თქვენს აქტში კი სხვა გვარი წერია. როგორ გერქვათ მაშინ, ვერმანხტის დროს?» ჰკითხა ჰაინრიხმა.

«რა თქვი?» ხმა აუთრთოლდა ჰერმანს.

მოხუცის სახის დასანახავად ჰაინრიხმა სარკე მიატრიალა. «თქვენს აქტში არ წერია, რომ თქვენ ყრუ ხართ», უპასუხა მან. ნებადართული 70 კმ სიჩქარის აღმნიშვნელი აბრისთვის ყურადღება არც მიუქცევია, გაზს ფეხი დააჭირა და სიჩქარეს მოუმატა.

მარცხენა მხარეს გზა იყო, რომელიც აღმართით ტყეში შედიოდა. ჰაინრიხს მაშუქი არ ჩაურთავს, ტყეში ისე შეუხვია. მაგრად დაამუხრუჭა, კატედი მარცხნივ გადაიხარა და ჰერმანი კარს მიახეთქა.

«რას ნიშნავს ყოველივე ეს?», უყვიროდა ჰერმანი. «ჩქარა გადადი გზაზე!»

ჰაინრიხმა უკანა ფანჯარა დახურა. აბღუველებული

მოტორით შევარდა მანქანა ტყეში. შუაგულ ტყეში ბოლომდე დაამუხრუჭა, მანქანა მარჯვენა მხარეს მიაგლო უახვალტო გზაზე და 50 მეტრის შემდეგ ღარტაფზე შეჩერდა. მანქანიდან გადმოვიდა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების სასიამოვნო გრძნობა დაეუფლა. ომში ნამყოფი კუპერსი შეიძლება გამოცდილი მეტრძოლი იყო, ჰერმანი კი - 54 წლით უფროსი ჰაინრიხზე, რომელიც კარატეში მწვანე ქამარს ფლობდა. მან მანქანის კარი გააღო და ინვალიდის საგარძელს მიუახლოვდა.

«სასწრაფოდ უკან დაბრუნდი», ყვიროდა ჰერმანი, «თორემ პრობლემები გექნება, შე...»

სილის გაწნამ დაამთავრა ყვირილი.

«შენ მაშინ ილაპარაკებ, როცა მე გეტყვი, კუპერს». ჰაინრიხი უკვე ძალას ფლობდა მოხუცზე.

«ხელები უკან წაიღე!»

ჰერმანი არ დაემორჩილა. ჰაინრიხმა გაშლილი ხელისგული შუბლზე მიატყვა და შემდეგ თავისი შუბლით მთელი ძალით მიაწვა მისას.

«ხელები უკან წაიღე, რომ შეგიკრა, თორემ განახებ, რას ნიშნავს ტკივილი». მისი თვალების მზერას, მიჰყრობილს მოხუცისადმი, ნებისმიერი გააფთრებული კატის მორჯულება შეეძლო.

ჰერმანი აღარ შესწინააღმდეგებია. ჰაინრიხმა ჯინსის ქურთუკიდან გადასაბმელი ამოიღო და მოხუცს ხელები შეუკრა. შემდეგ კი მისი მანქანიდან გამოყვანის დროც დადგა.

«სად მივდივართ?» ახლა კი შერბილებული ტონით იკითხა ჰერმანმა.

«კითხვებს აქ მე ვსვამ. ჩვენ ახლა მივხედავთ შენი ვგზეუცის საქმეს».

ჰაინრიხმა ინვალიდის საგარძელი ტყის შუაგულში ჩაღდა და წრე დაარტყა მას. ჰერმანმა ახელა, პირი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ როცა ჰაინრიხის ხელს შეხედა, ისევ დახურა, თუმცა ზობეკს მხოლოდ სანთებლის შარვლის ჯიბიდან ამოღება სურდა. მოხუცმა მიმოიხედა. ირგვლივ არავინ ჩანდა. მანქანის დანახვა აქედან უკვე შეუძლებელი იყო. აქ ისინი სრულიად მარტონი იყვნენ. ჰაინრიხმა კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, ჰერმანს სახეში შეაბოლა და თვალეში ჩაამტერდა.

«შენი გვარი არაა ჰერმანი», დაიწყო მან. «შენი სახელი და გვარია ჰერბერტ კუპერსი, დაიბადე 1923 წლის 25 აპრილს. 1940 წლიდან მსახურობდი ვერმანხტში. 1942 წელს მოხვდი აღმოსავლეთ ფრონტზე. ბაბი იარში მასობრივი ჭლეტის შემდეგ უამრავი სამოქალაქო პირი დახოცე უკრაინაში. მათი უმეტესობა ქალები და ბავშვები იყვნენ, ყველა ებრაელი. რამდენიმე დღის წინ წავიკითხე თვითმხილველთა ჩვენებები.» სიგარეტის ფერფლი გადაფერთხა კუპერსის შარვლიდან და განაგრძო: «ომის შემდეგ გვარი შეიცვალე და მასწავლებლად დაიწყე უცოდველი

ცხოვრება. ზოგიერთმა პიროვნებამ იზრუნა იმაზე, რომ ამ ტვირთის უზიდველად გეცხოვრა».

ჰერმანი ღუმდა. ჰაინრიხი თვალს არ აშორებდა მას. «შენ რომ ბოლო დღეებში მუდმივად არ გეღანძლე, ჩემთვის ეს ყველაფერი სულერთი იქნებოდა», განაგრძო ჰაინრიხმა. «მაგრამ შენმა მუდმივმა ნაცისტურმანაბოღვარმა მოთმინებიდან გამომიყვანა. ამიტომაც მოუქექე შენი წარსული. ჰოდა, ახლა ამას ერთხელ და სამუდამოდ მოელება ბოლო, რომ ამის შემდეგ აღარავის შეეშინდეს შენი».

«გინდათ...» ჰერმანს ხმა აუთრთოლდა. «ჩემი მოკვლა გინდათ?»

«რომ მეც შენსავით მკვლელი გაგხდე?» უპასუხა ჰაინრიხმა. «არა, კუპერს, ასე იოლად ვერ წამიხვალ ხელიდან».

ჰაინრიხი ადგა, სიგარეტის ნამწვი სილაზე გასრისა, დაიხარა და მოხუცს თვალებში ჩახედა.

«მომიყვები ომის შესახებ», დაიწყო ჰაინრიხმა. «მომიყვები იმ პატარა ბავშვების შესახებ, რომლებიც უკრაინაში დახვრიტე. მინდა ვიცოდე, რამდენად მაგარი ბიჭობაა დახვრეტა იმ უცოდველი ხალხისა, რომელსაც თავის დაცვა არ შეუძლია.»

ჰერმანმა თავი გვერდზე მიაბრუნა. ჰაინრიხმა ნიკაპთან მიუტანა ხელი და სახე თავისკენ მიაბრუნებინა.

«მომიყვები ამის შესახებ», არ ეშვებოდა ის მოხუცს. «ყვიროდნენ? ტიროდნენ? რა მანძილზე ასხამდა სისხლი? ისე ესროლე, რომ ტკივილი არ განეცადათ და მაშინვე მომკვლარიყვნენ? მინდა, დეტალები ვიცოდე.»

მოხუცმა ჰაინრიხს თვალებში შეხედა, რომელიც კვლავ განაგრძობდა მის წვალებას. «როგორი შეგრძნება იყო?» ჰკითხა და თავი თვალებთან ახლოს მიუტანა. «ჩახედე ბავშვებს თვალებში? რა შეგრძნება იყო, როცა შენ...»

ჰერმანს მისი დანარჩენი კითხვები აღარ გაუგონია. მან უცბად სხვა დროში გადაინაცვლა, რომელიც ეგონა, დაეწივებოდა ჰქონდა. ის ფიქრებით ახლა სულ სხვა ადამიანთან იყო. ვილჰელმთან.

მოხუც კაცს თვალწინ დაუდგა უკრაინაში დატრიალებული უბედურება და ის პატარა ბიჭი. შემდეგ კი გასროლა. თვალები დახუჭა. ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. შემდეგ მეორე და... უცბად ტირილი აუტყდა. ის პატარა ბავშვივით და მთელი თავისი არსებით ტიროდა.

შემცბარმა ჰაინრიხმა უკან დაიხია. ამ ადგილზე მოვიდა იმ განზრახვით, რომ ეს ადამიანი დაემცირებინა და შური ეძია მასზე. ასეთ რამეს კი არ ელოდა. ეს თავგადაღებული ნაცისტი, რომელიც მას რამდენიმე წუთის წინ ალბათ დიდი სიამოვნებით მიაყენებდა კედელთან, იჯდა ახლა მის წინ და პატარა ბავშვივით ტიროდა.

ჰაინრიხი ჰერმანს გაოგნებული უცქერდა და აღარ

იცოდა, რა ექნა.

მოხუცი კაცი ჯერ კიდევ სლუკუნებდა. ჰაინრიხმა ჯინსის ქურთუკის უბის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და მიაწოდა.

«გმადლობ», უპასუხა მოხუცმა ათრთოლებული ხმით და ცხვირი მოიხოცა. შემდეგ კი ჰაინრიხის შეთავაზებული კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო.

## IV

ერთი კვირის შემდეგ კვლავ ორთოპედთან უნდა წასულიყვნენ. ისინი უსიტყვოდ მიდიოდნენ ნაცნობ გზაზე. ჰერმანმა შუშაზე დაუკაკუნა ჰაინრიხს, რომელმაც გამყოფი ფანჯარა ჩამოსწია.

«ტყეში შედი, გთხოვ», თქვა ჰერმანმა მოულოდნელად.

ზობეკი გაოგნებული უყურებდა მოხუცს სარკეში. მარცხნივ შეუხვია და აღმართზე ავიდა, ოღონდ ამჯერად აღრინდელზე შედარებით ნელა. ისევ ღარტაფზე დააყენა კალეტი და მოხუცი გადმოიყვანა მანქანიდან.

«სიგარეტის მოწვევა გინდათ?» ჰკითხა მან.

«არა მარტო ეგ. მინდა, რაღაც მოგიყვე», უპასუხა მოხუცმა.

ჰაინრიხმა სიგარეტი მიაწოდა.

«შენ ხარ პირველი ადამიანი, რომელსაც 50 წლის შემდეგ ვუყვები ჩემი ისტორიის შესახებ», თქვა ჰერმანმა პირველი ნაფაზის შემდეგ და თავი გვერდზე მიაბრუნა.

პატარა შესვენების შემდეგ დაიწყო 50 წლის წინანდელი ისტორიის მოყოლა: «უკრაინაში ვიყავით. მივიღეთ ბრძანება ებრაელების განადგურების შესახებ. მხოლოდ სამი დღე იყო, რაც აღმოსავლეთ ფრონტზე ვიმყოფებოდით. მანამდე სხვა ბრძანებებს ვასრულებდით. მეც ისევე უნდა გამზდარიყავი დამნაშავე, როგორც სხვები. მერე ვედარავინ მეტყოდა, რომ ამ საქმეში ხელები არ მქონდა გასვრილი. ჯერ კაცები მოიყვანეს. ჯარისკაცები, რომლებმაც ჩვენები დახოცეს.»

ჰაინრიხი მიწაზე დაჯდა და სმენად გადაიტკა.

«შემდეგ ბავშვების ჯერი დადგა», განაგრძო ჰერმანმა. «ეს საშინელება იყო. ჩემმა ოფიცერმა მითხრა, რომ ესენი მომავალი პარტიზანები არიან და შემდგომში ჩვენზე შურს იძიებდნენ. მე თვალები დახუჭე. ეს ძალზე შემზარავი რამ იყო.»

ჰერმანს თვალები აუწყლიანდა. ჰაინრიხმა ცხვირსახოცი მიაწოდა.

«როცა თვალები გვახილე», ის თავს ძლივს იმორჩილებდა, «ორი მათგანი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. მარცხენა მხარეს მდგომი ჩემს ძმას, ვილჰელმს ჰკავდა ძალიან. ასაკითაც მისი ტოლი იყო, ექვსი წლის. თვალებიც ზუსტად მისნაირი ჰქონდა. მე...» ჰერმანს ხმა აუკანკალდა. «მე ვილჰელმს ვესროლე», თქვა მან და ბაგე აუთრთოლდა.

«შემდეგ ისევ ბანაკში წავიდით. გვაძები სადღაც

დაფლეს. იმის შემდეგ მათ შესახებ აღარაფერი მსმენია. არც ერთს ჩვენთაგანს ამაზე არასოდეს ულაპარაკია. ამ საქმის ჩადენა ჩვენ სულაც არ გვეამაყებოდა. ვიცი, რომ ჩვენ დამნაშავენი ვიყავით.»

«წინააღმდეგობა რატომ არ გაუწიეთ?», ჰკითხა ჰაინრიხმა.

«ჰმ, წინააღმდეგობა?» - ასევე კითხვით უპასუხა მოხუცმა. «სანამ სასროლად წაგვიყვანდნენ, გზაზე ერთ ხეს ჩავუარეთ. მასზე ეკიდნენ ჩვენი მებრძოლები, რომელთაც კისერზე რაღაც აბრები ჰქონდათ გაკეთებული. მათ წინააღმდეგობის გაწევა სცადეს.»

## V

ჰაინრიხის სამოქალაქო სამსახურის ბოლო კვირა დაიწყო. ინვალიდის სავარძელში მჯდომი მოხუცი უსიტყვოდ ჩასვა მანქანაში ორთოპედთან წასაყვანად. გამყოფი ფანჯარა ჩამოსწია, უკან მიტრიალდა და ჰერმანს ჰკითხა:

«ექიმი თუ ტყე?»

«ტყე», უპასუხა ჰერმანმა.

«რაღაც მოგიტანეთ», უთხრა ჰაინრიხმა და ქურთუკის ჯიბიდან ფრანგული კონიაკის ბოთლი ამოიღო.

«აქ თითქმის ისეა, როგორც დასავლეთ ფრონტზე», გაიღიმა მოხუცმა.

«არა, მაინც რატომ მლანძღვდით ხოლმე?» - ჰკითხა ჰერმანს.

«ჩვენ არჩევანი არ გექონდა», დაიწყო მან. «პიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ უნდა ჩაეწერილიყავი «პიტლერ-იუგენდში». როცა გერმანია პოლონეთს დაეცა, მაშინვე ჯარში მიკრეს თავი, შემდეგ კი - ფრონტზე. წაიყვანეს ჩემი მეგობრები და საერთოდ, მთელი ჩვენი კლასი.»

ჰერმანმა ბოთლი აიღო და კონიაკი ნელ-ნელა გადაუშვა ყელში.

«ჩვენ არ გექონდა არჩევანის უფლება. ან ბრძოლა, ან დეზერტირობა», განაგრძობდა მოხუცი. «რაც დეზერტირებს დამართეს, მოგიყვები. სტალინი ხომ კიდევ უარესი იყო: მილიონზე მეტი საკუთარი ჯარისკაცი დაახვერტინა.»

მან კიდევ მოსვა ერთი ყლუპი კონიაკი და მოყოლა განაგრძო: «ნაციისტებმა სიყმაწვილეს მომწვევითეს. მათ უმანკოება წამართვეს და მკვლელობის მანქანად გადაამაქციეს. დღეს ახალგაზრდებს შევიძლიათ აირჩიოთ ან სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახური.»

«რას იზამდით ახლა, ახალგაზრდა რომ იყოთ?» ჰკითხა ჰაინრიხმა.

«იმას, რასაც შენ აკეთებ: ავირჩევდი სამოქალაქო სამსახურს», მიუგო მოხუცმა. «მაინც რატომ გადმოდიოდა ჩემზე მთელი ბრაზი?» არ ეშვებოდა ჰაინრიხი. «იცი რა, ბოლო ორი კვირა ძალიან ბევრი დრო მქონდა

საფიქრულად. ჩემი ახალგაზრდობა განადგურებულია. ჩვენ იძულებული ვიყავით, ომში წავსულიყავით ისე, რომ არ გექონდა უარის თქმის შანსი. ომის შემდეგ არავის სურდა ამის შესახებ საუბარი. რას იზამ, ასეთია ომი. გარდა ამისა, მაშინ სხვანაირი დრო იყო. შემდეგ მე მასწავლებელი გავხდი. 60-იან წლებში ერთხელაც პროკურატურიდან მომაკითხეს. დამკითხეს, როგორ იყო ჩაცხრილვის ამბავი. სულ ეს იყო. არავის უკითხავს, მაშინ რა განვიცადეთ. შენ იყავი პირველი ადამიანი, ვინც ამ ისტორიით დაინტერესდა.»

## VI

ჰაინრიხმა ინვალიდის სავარძელში მყოფი ჰერმანი კადეტიდან გადმოიყვანა და კლინიკაში შეიყვანა. უცებ მხარზე ვილაცის ხელის შეხება იგრძნო.

«ჰაინრიხ, გთხოვთ, სასწრაფოდ წამოხვიდეთ», უთხრა ექიმმა ბუსკემ.

ექიმთა კაბინეტში არსებული სიტუაცია საატესტაციო გამოცდას აგონებდა. მის პირდაპირ ისხდნენ ექიმი ბუსკე, მომვლელი და კლინიკის პერსონალთა განყოფილების უფროსი, შრიოდერი. მათი დათრგუნული სახეების დანახვაზე ჰაინრიხს ტანში გააცია.

«დოქტორ ზომერლინგის კაბინეტიდან დარეკეს, რომ ორი კვირაა, რაც ბატონი ჰერმანი ორთოპედთან სამკურნალოდ არ ყოფილა. ბოლო ხანებში თქვენ იყავით მორიგე. სად იყავით იმ დროს?»

«მანქანა გაგვიფუჭდა», მიუგო ჰაინრიხმა.

«სისულელეს ნუ ლაპარაკობთ», შეუტია შრიოდერმა. თქვენს მორიგეობის წიგნაკში არაფერია შეტანილი მანქანის გაფუჭების შესახებ. კიდევ ერთხელ გეკითხებით: სად იყავით იმ დროს?»

«ტყეში», უპასუხა ჰაინრიხმა.

«თქვენთვის ალბათ ნათელია, რომ თქვენ ბოროტად გამოიყენეთ სამსახურეობრივი მოვალეობა» უთხრა შრიოდერმა და თვალები მოჭრუტა. «ეს საქმე ძვირად დაგიჯდებათ, ბატონო ზობეკ!»

«ჩვენ შეგვიძლია თქვენს წინააღმდეგ პროცესი აღვძრათ», განაგრძო ბუსკემ.

ჰაინრიხს ფერი ეცვალა. ხომ არ აჯობებდა, მუხლდაჩოქილს ბოდიში მოეხადა და ეამბა «წმინდა ინკვიზიციის» შესახებ?

უცბად ბუსკემ მხერა ჰაინრიხიდან კარზე გადაიტანა და პირი დაალო. შრიოდერსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ჯალათი მდგარიყოს მის წინაშე. ჰაინრიხი კარისკენ მიტრიალდა.

კარში ჰერმანი იდგა.

## VII

«დღეს ჩემი ბოლო სამუშაო დღეა», თქვა ჰაინრიხმა.

ჰერმანი ადგა და ყვარჯენს დაეყრდნო. «ჩემიც.

დამბლამ გადაიარა. იქნებ სულაც შურისძიება სურდა ჩემს სხეულს იმ წყეული ისტორიის გამო».

ის საწოლისკენ გაემართა. «50 წელია, წესიერად არ მიძინია. ის ბიჭი, ვილჰელმს რომ ჰგავდა...

დღემდე მღვენის, თითქოს მიჩვივის. ის თვალები... ყოველდამე ვხედავდი მათ. პირველად, რომ

ამ თემას ვიხსენებ.»  
«ამ გახსენებაზე... რა მოუვიდა ვილჰელმს?» ჰკითხა ჰაინრიხმა.  
«ამერიკელებმა ჩვენი ქალაქი დაბომბეს 1943 წლის აგვისტოს ბოლოს», უპასუხა მოხუცმა.  
«მამაჩემი ეცადა, ვილჰელმი ჩვენი სახლის ცეცხლმოკიდებული ნანგრევებიდან გამოეყვანა. იმ დღეს ორივე დაიღუპა.»

ჰაინრიხმა ჰერმანს ხელი ჩამოართვა, საავადმყოფოს თეთრი ხალათი გაიხადა, ზურგჩათა მოიკიდა, ხალათი საწოლზე დადო, ველოსიპედზე დაჯდა და ისე ჩაუქროლა ჭიშკარს, რომ მეტი აღარ გამოშვებობებია მოხუცს.  
ჰერმანი კი ფანჯარასთან იდგა და ხელს უქნევდა მას.

# ი უ მ თ რ ი

ჩხუბის შემდეგ მწვრთნელი ეუბნება ბოქსიორს:

- კი წააგე, მარა, მაგრად შეაშინე რა...
- ეგ როგორ?
- ეგონა მოკვდი...

\*\*\*

- ექიმო, ვერ გადავეჩვიე ამ პაპიროსს - ჯავრობს მიხო.
- ხომ გირჩიე კამფეტით შეცვალე მეთქი?
- შევცვალე კიდეცა, მაგრამ ცეცხლი არ ეკიდება, ჯო!

\*\*\*

ორი სომეხი ენიძლავება ერთმანეთს:  
- მოდი ჩავყვინთოთ და ვინც უფრო მალე ამოყვინთავს იმან სახინკლე იკისროსო!  
მეორე დღის საინფორმაციო: იპოვეს ორი დამხრჩვალ სომეხი.

\*\*\*

- როდესაც ფრიქიატრს ვუთხარი, რომ ჩემი ქმარი ცხვირიდან ბოლს უშვებს, მიპასუხა რომ საშიში არაფერია.
- რა თქმა უნდა, ყველა მწველი უშვებს ცხვირიდან ბოლს.

- კი მაგრამ ჩემი ქმარი რომ არ ეწევა?

\*\*\*

-მამიკო სად არის ალპები?  
- დედაშენს ჰკითხე, მას უყვარს ყველაფრის გადაადგილება!

\*\*\*

- ექიმო, რა ნიშნებით უნდა დადგინდეს სკლეროზის განვითარება?
- მე თქვენ უკვე გითხარით ამის შესახებ..

\*\*\*

გურული ადის მატარებლის კუპეში, სადაც ზანგები სხედან. გაკვირვებული გურული ცოტა ხნის შემდეგ კითხულობს: რაია, დეინვა რამე?

\*\*\*

ნადირობიდან დაბრუნებული მონადირე სახლში მოიყვანს მგელს. მეზობლებს გაუხარდებათ, ძლივს არ მოიყვანა ნანადირებო, და შეეკითხებიან.  
- რამდენი ტყვია ესროლე?  
- 10-იო  
- რამდენი გაართყი?  
- არცერთი.  
- აბა როგორ მოკვდა ეგ

საცოდავი.

- სიცილით მოკვდა, ვერც ერთი რომ ვერ გავართყი.

\*\*\*

ლეღვის დროს, მგზავრი მივა კაპიტანთან და ეკითხება:  
- რა მანძილზეა უახლოესი მინა?

კაპიტანი პასუხობს:  
- ორ მილშიო.  
მგზავრს გაუხარდება და კიდევ ეკითხება:  
- მარჯვნივ თუ მარცხნივო?  
- ქვემოთო, - მიოუგო კაპიტანმა.

\*\*\*

სვანები გაიგებენ რომ დედამინა ბრუნავს და თავბრუ დაეხვევათ.

\*\*\*

- ექიმო, მართალია, რომ ამბობენ, ჯანმრთელობას ვერანაირი ფულით ვერ იყიდო?
- მოიტა, კაცო, აქ! ვინ თქვა ეგ სისულელე?!

\*\*\*

გურულმა ტყუპები დაინახა და მშობელს გაკვირვებული ეკითხება?  
- აგია იგი თუ იგია აგი?

**ჩვენ შერჩეული აცხადებს ფოტო-კონკურსს სახელწოდებით „ქართული“.**


**გადაიღეთ მთები, ზღვა, ცა, ქუჩები, სახეები... ანუ ყველაფერი ის, რაც თქვენთვის ქართულია და გამოგვიგზავნეთ თქვენი ფოტოები 30 სექტემბრამდე მისამართზე qartuli@satvistomo.de.**

**საუკეთესო სურათები განთავსდება შერჩეულის გარეკანზე.**

**კადრუფუცხი**

**პორტრეტაზი:** 3. „ურთ მორეული“ ბატონის მოადგილე; 6. „თრში“ რაც ასოხარა; 8. „კრამიტზე მორბენალი“ თხის“ შუკინი; 11. რუსი კომპოზიტორი, რომელიც წერდა „ნაიკში“ ვრთა (რუს. კავში); 13. პოეტო, რომლის გულითხიაც „ზაიბ რომში“ დიხრო თავი; 14. მცენარე, რომელსაც „ღია და ანი“ ვადებოდნენ ჯერუღებში; 16. „ღოკის“ დამკინაფი დაპარაკი „ქილაში“; 18. „დიქანსე“ გასაფორებელი ხაქმანი ქალი; 20. ციხესამტრე, რომლის „იტაკსე“ „აკრობატი“ დახტოდა (რუს. კავში); 21. „პაატას“ შექმნილი პროდუქტსე „ტერტის“ გადაფარების აღების უფლება; 23. „ვანო ვარდიგარდში“ გაფრცულეული ხელოვნების მიმდინარეობა; 27. რამდენი სენიაი ქართულ კვარტეტში? 29. „ღარისას“ ხაქუჯე; 30. მკურნარე, რომლისგანაც „ვიტას“ აწხადებენ; 31. ტბა, რომელსაც შაბათით „ორ-ორს“ უნდა იაროს; 35. ქანდი, რომელსაც თავში „კეტი რკეპი“; 37. რომელი პოეტი დიხა; 38. „ბროლის“ თავსე დამხტრეული მტრუთის მინა; 40. „თხი“, რომელსაც ბეერი „ესკიში“ შექმნი; 41. მებრძოლი ქალი, რომელიც „ვეშაბი არ არის“ ცვიღმ, და რუს. კავში; 42. „ტორებით“ სიქმელი ნამცხვარი.

**3366666666:** 1. მუსიკალური „დირაინ“ და „ტირიან“ ყუთი; 2. „თხი სორტის“ მქონე ქართული ბიბლიოთეკი; 4. „შუბის“ მიტეარულთა სორტის ხახვი; 5. ქაღალცი, სიღაც „თინი“ და „კერში“ რომეოსა და ჯუღიეტის ნამცხვარი გამოუცხი; 7. „პანტინში“ შეტრული დამსტრბიელი; 10. ცხიფელი, რომელსაც „შუბსე ანტენი“ ასოუღია (რუს. კავში); 12. „ბილიბილი“ იაბრერი ფირმა (რუს. კავში); 14. „ფურ-ცლილი“ კომპოზიტორი (რუს. კავში); 15. გზაენილი, „ანნ ნათის“ ფოსტის საჩუკლებით რომ გაუგზავნა; 16. „ქვახვი“ ნახშირი; 17. „ღერის“ მიერ „ვანში“ დარეული მცენარე; 19. ნარის ნახევარი; 22. „დიონში“ მოხარმული „ბუს“ წვეთი; 24. „ბრინტის“ კარად დამუშავებისათვის მიღებული ჯიღლი; 25. „შაბი მორბენალი“ ბეღურა; 26. შესაღებელი, რომლისთაც „ტრაპისე“ გაფოსტა, ერთი „შიღი“ იფრინა და კიხერი მიიტეხა; 28. ცხიბრსახიცი ქურფი ჯაფარის თუთიფში (მუღტეც კავში); 32. „ფრების“ ქალაქი (რუს. კავში); 33. „პრინტიული“ მიძეხი; 34. „შეშტახი“ ბიბილი (რუს. კავში); 36. რა ჯერი კიხელს მანდარინის გული? 38. „თხი“ შუკი; 39. კოცო, რომელსაც „ვერცხი დალი“ (სიღ. კავში).



გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

**Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.**  
**HERAUSGEGEBEN SEIT OKTOBER 2005**

**ლაფუძნება-გამომცემი:**  
**ბახანიის ქართული სათვისტომო**

**სახედაქუი ყოღება:**  
 ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)  
 ნინო დალაქიშვილი  
 ნინო ცხომელიძე-ღეპპერშიღტი  
 თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)

ქალითას ვასლით იაქობ და ნიკოლოზ ბალიაძილტმს ყურნაღის ყველა ნომრის გერმანიადი მიწილტმადი ყიღილსი ლხმპაოჭისათვის

**მულტსიბ მისამართი**

Georgischer Verein in Deutschland e.V.  
 Leri Datashvili  
 Roemerhofweg 51c  
 85748 Garching b. München

ლაგვიკავშირღით:  
 ტელ.: 0711/12 28 97 26  
 ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩვენი ჰახტინოხიხა  
 ამეხიჯაში გამომცავდი  
 ქართული გაზეთი „მამელი“